TOU

თბილისის ღია სასწავლო
უნივერსიტეტი

გიორგი ბაღათურია

სამედიაციო მორიგების აღსრულება საქართველოში

ნაშრომი წარმოდგენილია მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

სამართლის დოქტორი, ალექსანდრე წულაძე

თბილისი 0156

საქართველო

2020წ

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

,,ჩვენ ქვემეორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით გიორგი ბაღათურიას მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: სამედიაციო მორიგების აღსრულება საქართველოში და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“

თარიღი: _____

ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი, ალექსანდრე წულაძე

_____

რეცენზენტი:

_____

ავტორი:

ნაშრომი: ,,სამედიაციო მორიგების აღსრულება საქართველოში“

სკოლა: სამართლის

საგანმანათლებლო პროგრამა: კერძო (ბიზნეს) სამართალი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

სარჩევი

აბრევიატურა....8

შესავალი....9

თავი I. მედიაციის ინსტიტუტის არსი და მნიშვნელობა....12

1. სამედიაციო პროცესის არსი....12

2.მედიაცია საქართველოში....13

თავი II. სამედიაციო მორიგების აღსრულების არსი და პირობები....17

1. სამედიაციო მორიგების აღსრულების მნიშვნელობა....17

2. სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესი....19

2.1 სამედიაციო მორიგების აღსრულება კერძო მედიაციის პირობებში....21

2.2 სამედიაციო მორიგების აღსრულება სანოტარო მედიაციის პირობებში....25

3. სამედიაციო მორიგების აღსრულება გერმანული მოდელის მაგალითზე....29

4. სამედიაციო მორიგების აღსრულება ამერიკის შეერთებული შტატების მოდელის მაგალითზე....32

თავი III. სასამართლო მედიაცია....34

1. სამედიაციო მორიგების აღსრულება სასამართლო მედიაციის პირობებში. 34

1.1 სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის განხილვა სასამართლოს მიერ....36

1.2 სასამართლო განჩინება სამედიაციო მორიგების აღსრულების თაობაზე....39

2. სააღსრულებო ფურცლის გაცემა სასამართლოს მიერ....41

თავი IV. სამედიაციო მორიგების აღსრულების ინსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები....43

1. ქართული კანონმდებლობის როლი სამედიაციო მორიგების აღსრულებაში. 43

2. სსიპ - „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ როგორც სამედიაციო მორიგების აღსრულების გარანტი. 46

თავი V. სამედიაციო მორიგების აღსრულების პრაქტიკა საქართველოში....49

დასკვნა 51

ბიბლიოგრაფია 53

რეზიუმე

თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანის უფლება-მოვალეობების ზრდასთან ერთად იზრდება დავების რაოდენობაც, რაც ჩვენს რეალობაში იწვევს სასამართლო ხელისუფლების გადატვირთვას. სამედიაციო პროცესი წარმოადგებს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას, რომელიც მოდავე მხარეებს სასამართლოზე გაცილებით სწრაფ და ნაკლებხარჯიან პროცესს სთავაზობს. გამომდინარე აქედან სამედიაციო ინსტიტუტის სამართლებრივი რეგულირება სულ უფრო აქტუალური საკითხი ხდება. სამედიაციო პროცესის უმნიშვნელოვანეს ნაწილს სამედიაციო მორიგების აღსრულების თემატიკა წარმოადგენს, რომელიც ქართულ საკანონმდებლო სივრცეში არც თუ ისე კონკრეტიზირებული საკითხია, ამიტომ ნაშრომის ავტორის პირადი მოსაზრებით, ეს თემა საჭიროებს ცალკეულ სამართლებრივ კვლევას. ნაშრომის შესავალი ნაწილი ძალიან ზოგად წარმოდგენას გვიქმნის მედიაციის ინსტიტუტზე საქართველოში, ხოლო მისი ძირითადი ნაწილი ეთმობა სამედიაციო მორიგების აღსრულების სპეციფიკის განსაზღვრას ჩვენს ქვეყანაში. ნაშრომში იდენთიფიცირებულია კერძო, სანოტარო და სასამართლო მედიაციის პირობებში სამედიაციო მორიგების აღსრულების ცალკეული საკითხები, ამასთან სამივე მედიაციის პროცესის განხილვის პარალელურად ინტერპრეტირებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისი ნორმის შინაარსი. ნაშრომში აღნიშნულია რომ კერძო მედიაციის პროცესის სპეციფიკა სამართლებრივად მეტად რთული განსასაზღვრია, აღნიშნულ თემაზე კონკრეტული ნორმების არ არსებობს გამო ეს უკანასკნელი ტოვებს სამართლებრივი ინტერპრეტაციის ფართო სივრცეს, ამიტომ კერძო სამედიაციო პროცესში მორიგების აღსრულების თემაზე ნაშრომში გადმოცემულია ავტორისეული აზრი და რიგ შემთხვევაში გამოყენებულია კანონის ანალოგია. კერძო მედიაციის პროცესისგან განსხვავებით სანოტარო და სასამართლო მედაიციის ფარგლებში სამედიაციო მორიგების აღსრულების ნაწილში განსაზღვრული და ინტერპრეტირებულია კონკრეტული ნორმატიული აქტების შესაბამის ნორმები.

ქართულ სამართლებრივ სივრცეში სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხების კვლევის პარალელურად საჭიროდ იქნა მიჩნეული სხვა ქვეყნის სამართლის მოდელებზე მცირე კვლევისა და ანალიზის გაკეთება. აღნიშნულის ფარგლებში განხორციელდა კონტიტენტური ევროპის ერთ-ერთი ფუნდამენტური ქვეყნის - გერმანიის რესპულბიკის სამართლის მოდელის ზოგადი მიმოხილვა, რის შემდეგაც მოხდა მისი შედარება ქართულ სამედიაციო მოდელთან. გარდა ამისა კვლევის ფარგლებში საინტერესოდ იქნა მიჩნეული აშშ-ს სამედიაციო მორიგების აღსრულების მოდელის განსაზღვრა, ბუნებრივია ამ ქვეყნის სამედიაციო კანონმდებლობაზე სრულფასოვანი კვლევის ჩატარება მეტად კომპლექსურ საკითხს წარმოადგენს, რის გამოც ნაშრომის ფარგლებში საუბარია

რამოდენიმე შტატის სამედიაციო მოდელზე და მის შედარებაზე ქართულ კანონმდებლობასთან.

ნაშრომის ფარგლებში ასევე განხილულია სამედიაციო მორიგების აღსრულების ინსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები, რომელიც ერთის მხრივ მედიაციასთან დაკავშირებულ ქართულ საკანონმდებლო ბაზაში, ხოლო მეორეს მხრივ სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ როლში გამოიხატება. საკანონმდებლო ბაზა გულისხმობს იმ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობას, რომლის ქართულ იურისპრუდენციაში არსებობაც მხარეთათვის შეიძლება სამედიაციო მორიგების ეფექტური აღსრულების გარანტიად მივიჩნიოთ. რაც შეეხება მედიატორთა ასოციაციას, ვინაიდან ეს ორგანიზაცია წარმოადგენს მედიატორთა გაერთიანებას და საკუთარი წესდებით განსაზღვრავს მედიაციის პროცესში მედიატორის უფლებამოსილებას, კვლევის ფარგლებში საჭიროდ იქნა მიჩნეული მედიატორთა ასოციაცია მხარეთათვის სამედიაციო მორიგების აღსრულების ინსტიტუციური გარანტორის პრიზმიდან დანახულიყო.

ნაშრომის ბოლო თავი ეთმობა სამედიაციო მორიგების აღსრულების პრაქტიკის კვლევას საქართველოში. აღნიშნული თემატიკის კვლევის ფარგლებში ნაშრომის ავტორის მიერ ორგანიზდა დისტანციური ინტერვიუ თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის ცენტრის ხელმძღვანელთან - ელენე ორჯონიკიძესთან. ინტერვიუს ფარგლებში რესპოდენტის მიმართ დაისვა ქართულ სამედიაციო პროცესში სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხთან დაკავშირებული შეკითხვები, ხსენებულ კითხვებზე პასუხები ავტორის მიერ გამოყენებულია სამედიაციო მორიგების აღსრულების პრაქტიკის კვლევაში. გარდა ამისა სამედიაციო მორიგების აღსრულების პრაქტიკის კვლევის ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის ცენტრის მიერ ცხრილის სახით მოწოდებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოში წარმოებული მედიაციის საქმეთა ზოგადი სტატისტიკა. ხსენებული სტატისტიკის დახმარებით უკეთ იქნა აღწერილი თუ როგორი მზარდია მედიაციის პროცესისადმი მიმართვიანობის ტენდენცია საქართველოში და ასევე რამდენად ხშირია მედიაციის პროცესის ფარგლებში მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევა.

Resume

With the increase in human rights and duties in modern society, the number of disputes are increasing, which in our reality leads to a reshuffle of the judiciary. The mediation process is an alternative to dispute resolution, which offers litigants a much faster and less costly trial. Therefore, the legal regulation of the mediation institute is becoming more and more important. The most important part of the mediation process is the implementation of mediation arrangements, which is not a very specific issue in the Georgian legislative space, so in the personal opinion of the author of the paper, this topic requires separate legal research. The introductory part of the paper gives us a very general idea of the institution of mediation in Georgia, and the main part of it is devoted to determining the specifics of the implementation of mediation arrangements in our country. The paper identifies certain issues of enforcement of mediation arrangements in the context of private, notarial and judicial mediation, however, in parallel with the discussion of all three mediation processes, the content of the relevant norm of Georgian legislation is interpreted. The paper states that the specifics of the private mediation process are legally very difficult to determine, due to the lack of specific norms on the subject, the latter leaves a wide space for legal interpretation, therefore, in the private mediation process, the author's opinion is presented in the paper on the implementation of the settlement, and in some cases the analogy of the law is used. In contrast to the private mediation process, the relevant norms of specific normative acts are defined and interpreted in the part of enforcement of mediation arrangements within the framework of notarial and judicial mediation.

In parallel with the study of the implementation of mediation arrangements in the Georgian legal space, it was considered necessary to conduct a small research and analysis on the legal models of other countries. In this context, a general overview of the model of law of one of the fundamental countries of continental Europe - the Republic of Germany was carried out, after which it was compared with the Georgian mediation model. In addition, the study found it interesting to determine the implementation model of the US mediation settlement. Naturally, conducting a full-fledged study on the mediation legislation of this country is a very complex issue, which is why the paper discusses the mediation model of several states and compares it with the Georgian legislation.

The paper also discusses the institutional-legal guarantees for the implementation of mediation arrangements, which, on the one hand, are reflected in the Georgian legal framework related to mediation, and on the other hand, in the role of the Georgian Mediators Association. The legal framework implies a set of legal norms, the existence of which in the Georgian jurisprudence can be considered a guarantee of effective

enforcement of mediation arrangements for the parties. As for the Association of Mediators, since this organization is a union of mediators and by its own charter defines the authority of the mediator in the mediation process, the study considered it necessary to see the Association of Mediators from the prism of the institutional guarantor of mediation settlement.

The last chapter of the paper is devoted to the study of the practice of mediation settlement in Georgia. Within the framework of the research on the mentioned topic, the author of the paper organized an online interview with Elene Orjonikidze, the head of the Mediation Center of the Tbilisi City Court. Within the framework of the interview, the respondent was asked questions related to the implementation of mediation settlement in the Georgian mediation process, the answers to the mentioned questions were used by the author in the study of the practice of mediation settlement execution. In addition, in the research part of the practice of mediation settlement enforcement, Tbilisi City Court Mediation Center provided a table of general statistics on mediation cases conducted in Tbilisi City Court. With the help of the mentioned statistics, it was better described how the tendency of appealing to the mediation process in Georgia is growing and also how often the agreement between the parties is reached within the framework of the mediation process.

აბრევიატურა

მაგ.-მაგალითად

იხ.-იხილეთ

სსიპ-საჯარო სამართლის იურიდიული პირი

სსკ-საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

ა(ა)იპ-არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

ADR-Alternative Dispute Resolution, დავების ალტერნატიული გადაწყვეტა

LLP-Limited Liability Partnership, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ZPO – Zivilprozessordnung, გერმანული სამოქალაქო სამართლის კანონი

შესავალი

„პრობლემის მომგვარებლებს ერთი რამ აქვთ საერთო - რწმენა იმისა, რომ უკეთესი გზაც არსებობს“

ჯერალდ ვეინბერგი

თუ მსოფლიოს ისტორიული განვითარების ქრონოლოგიას გადავხედავთ აღმოვაჩენთ, რომ ადამიანებს შორის უთანხმოება ჯერ კიდევ ქვის ხანის, პალეოლითის, პერიოდიდან იღებს სათავეს. ადამიანებს შორის დავა თავდაპირველად საკვების, წყლისა და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქტების მოპოვების სურვილიდან გამომდინარეობდა, შემდგომში გაჩნდა გარკვეული ტიპის საკუთრება, რაც ასევე მალევე იქცა ადამიანებს შორის უთანხმოების საგნად. ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე შეუძლებელია რომ თითოეულ ინდივიდს შორის ყველა საკითხზე არსებობდეს საერთო კონსესუსი. ისტორიის მანძილზე არსებობდა უთანხმოების შედეგები რომელიც ხშირად იწვევდა მასობრივ პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ კატასტროფებს, აღნიშნულის ნათელ მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ პირველი[1] და მეორე[2] მსოფლიო ომები, საქართველოს ისტორიის ახლო წარსულში კი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი.[3]

მოქმედ რეალობაში სასამართლო სისტემა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს როგორც პირთა შორის დავების მოგვარებაში, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენასა და მის აღსრულებაში, თუმცა როგორც აღინიშნა, საზოგადოებისა და თანამედროვეობის განვითარებასთან ერთად მატულობს სხვადასხვა ტიპის დავები, რაც იწვევს სასამართლოს გადატვირთულობას, შესაბამისად დროში იწელება და ჭიანურდება საქმეზე გადაწყვეტილების მიღება, გადაწყვეტილების აღსრულება, რასაც ემატება მოდავე მხარეების ფინანსური დანახარჯები. სწორედ

[1] იხ. მსოფლიო ისტორიის საერთაშორისო ვებგვერდი, პირველი მსოფლიო ომის სტატისტიკა , 2020 https://www.history.com/topics/world-war-i/world-war-i-history

[2] იხ. მეორე მსოფლიო ომის სტატისტიკა, მეორე მსოფლიო ომის სტატისტიკის ვებგვერდი, 2020 https://www.secondworldwarhistory.com/world-war-2-statistics.php

[3] იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პუბლიკაცია, რუსეთ-საქართველოს ომის სტატისტიკა, 2015 https://idfi.ge/ge/russia-georgia-war-infographic,

ამიტომ თანამედროვე საზოგადოებაში საჭირო გახდა გაჩენილიყო დავის გადაწყვეტის ისეთი მოქნილი ალტერნატიული საშუალება როგორიცაა მედიაცია.

საქართველოს კანონით[4] „მედიაციის შესახებ“ მედიაცია განიმარტება როგორც „პროცესი მისი სახელწოდების მიუხედავად, რომლის საშუალებითაც ორი ან რამდენიმე მხარე მედიატორის დახმარებით ცდილობს დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას, მიუხედავად იმისა, ეს პროცესი დაწყებულია მხარეთა ინიციატივით თუ კანონით გათვალისწინებული საფუძვლითა და წესით“.

დავების გახშირების ტენდენციის გამო, მედიაციის ინსტიტუტის აქტუალურობა მუდმივად მზარდია, ბუნებრივია აქედან გამონაკლისი არც საქართველოა, ჩვენს ქვეყანაში სამედიაციო კანონმდებლობა სრულიად ახალ ნოვაციურ ნორმათა სისტემას წარმოადგენს, თუმცა აღსანიშნავია, რომ სამედიაციო გზით დავების მოგვარება საქართველოში უკვე რამოდენიმე მაინც წელს ითვლის. თავად მედიაციის პროცესი და მისი შედეგი წარმოადგენს მხარეთა ისეთ შეთანხმებას, რომლის პირობებშიც მიღწეულია მათი საუკეთესო ინტერესის შესაბამისი შეთანხმება, რომელიც შესაბამისი დამტკიცების შემდეგ იძენს იურიდიულ ძალას, აქედან გამომდინარე საინტერესო და აქტუალური ხდება ამ შეთანხმების აღსრულების პროცესი, რომელსაც სამართლებრივად სამედიაციო მორიგების აღსრულება შეიძლება ვუწოდოთ. ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში სამედიაციო მორიგების აღსრულების უშუალო მექანიზმზე საუბარი არაა, მეტიც, აღნიშნულ პროცესის მარეგულირებელი ნორმები საკმაოდ მცირეა და სამართლის მკვლევართა ნაწილისთვის გარკვეულ ბუნდოვნებას იწვევს. აქედან გამომდინარე მორიგების აღსრულების პროცესის საკითხი ტოვებს სამართლებრივი ინტერპრეტაციის ფართო ადგილს, რაც რიგ შემთხვევებში აღსრულების ორაზროვან მიდგომებთან და ხელახალი დავის წარმოქმნასთანაა დაკავშრებული.

სამედიაციო მორიგების აღსრულების რეგულირების სირთულიდან გამომდინარე ნაშრომის შესრულების ძირითად მიზანს სწორედ აღსრულების პრაქტიკისა და სპეციფიკის სამეცნიერო შემეცნება-შესწავლა წარმოადგენს. მიუხედავად იმისა რომ სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესზე მოქმედი კანონმდებლობა ზუსტ განმარტებას არ იძლევა, ასეთი ტიპის ბუნდოვანება შესაძლოა პოზიტიურ და სამართლებრივად ჯანსაღ კონტექსტსაც გულისხმობდეს,

[4] საქართველო, საქართველოს პარლამენტი,საქართველოს კანონი, „მედიაციის შესახებ“ (4954-Iს, 18.09.2019), მუხლი 2(ა), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1

თუმცა მოგეხსენებათ სამართლებრივ სივრცეში ყველაფერი მტკიცების საგანია. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე თემაზე სიღრმისეული სამეცნიერო კვლევის ჩატარება, რომელსაც იურიდიული კონტექსტი და დანიშნულება ექნება, ვფიქრობ მნიშვნელოვანი და აუცილებელია მედიაციის ინსტიტუტის მეტად შეცნობისა და განვითარებისათვის.

ნაშრომის ფორმირებისა და კვლევის პროცესში გამოყენებულია დოგმატურ სამართლებრივი კვლევის მეთოდი, რათა შესწავლილ იქნეს სამართლის ის ნორმები, რომლის დახმარებითაც თემის აქტუალურ საკითხზე მეტი ინფორმაციის მიღება იქნება შესაძლებელი. ნაშრომში ასევე გამოყენებულია შედარებითი სამართლებრივი მეთოდები, ამ მეთოდის გამოყენების აუცილებლობა ზოგადად თემის შინაარსიდან გამომდინარეობს და მიუხედავად იმისა რომ საკითხი უშუალოდ საქართველოს მაგალითს ეხება, ვინაიდან ქართულ რეალობაში სამედიაციო მორიგების აღსრულების პრაქტიკის რაიმე კონკრეტული მარეგულირებელი ნორმა არ გვხვდება, გარკვეულ ეტაპზე საჭიროა შედარების მოხდენა სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმის მქონე ქვეყნების კანონმდებლობასთან. ვინაიდან აღნიშნული კვლევის მიზანი სამართლის მოქმედების რეალურის პროცესების შესწავლაა, საჭიროდ იქნა მიჩნეული რომ თემის სიღრმისეული შემეცნების პროცესში, აღნიშნული მეთოდის გამოყენება აუცილებლობას წარმოადგენდა სოციალურ-სამართლებრივი მეთოდოლოგია

თავი I. მედიაციის ინსტიტუტის არსი და მნიშვნელობა

1. სამედიაციო პროცესის არსი

მედიაციის პროცესის ძირითადი დანიშნულება მხარეთა შორის არსებულ დავაზე გარკვეული შეთანხმების მიღწევაა, მოლაპარაკების პროცესში ნეიტრალური პირი (მედიატორი) ურთიერთდაპირისპირებულ მხარეებს/ან მათ წარმომადგენლებს ეხმარება მათ შორის წარმოშობილი კონფლიქტის შეთანხმებით დასრულებაში. მედიაციის უმნიშვნელოვანეს პრინციპს ნებაყოფლობითობა, ანუ სამედიაციო მორიგებაზე ნების თავისუფლება წარმოადგენს, სწორედ ამიტომ, სამედიაციო მორიგების პროცესი მოდავე მხარეთა ნებაყოფლობითი არჩევანია, ისინი თავად თანხმდებიან მათ შორის არსებული კონფლიქტის მოგავარების ალტერტანიულ ფორმაზე - მედიაციაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ მედიაციის პროცესის ერთ-ერთი მთავარი ხიბლი სწორედ მის არაფორმალურ ბუნებაშია, პროცესის მხარეებს ნებისმიერ დროს აქვთ შესაძლებლობა შეწყვიტონ სამედიაციო მოლაპარაკება და მიმართონ მართლსაჯულების ორგანოს. მედიაციის პროცესი მოდავე მხარეებს დროისა და ფინანსური ხარჯების დანაზოგის შესაძლებლობას აძლევს, ვინაიდან სამედიაციო მორიგების პროცესი სასამართლო მართლმსაჯულების პროცესთან შედარებით დროში გაწელილი არაა და შეთანხმების მიღწევას დროის ხანმოკლე მონაკვეთში გულისხმობს, რაც შეეხება ფინანსურ დანახარჯებს, ვინაიდან მედიაცია არაფორმალური და ნებაყოფლობითი პროცესია, იგი დამოკიდებულია ურთიერთშეთანხმებაზე, რაც თავის მხრივ ხარჯების მინიმალიზაციას იწვევს.

მედიაციის პროცესის განხილვისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს მედიატორის როლი და მნიშვნელობა სამედიაციო პროცესში. როგორც აღინიშნა, ეს უკანასკნელი მედიაციის პროცესში წარმოადგენს მიუკერძოებელ პირს, რომელიც მონაწილე მხარეთა პაექრობის დროს არ ახდენს მათი პირობების არსებით ცვლილებას, არამედ ორიენტირებულია კონკრეტული დავის მორიგებით

დასრულებაზე. სწორედ მორიგება არის ის მთავარი მიზანი, რაც შეიძლება რომ მედიაციის პროცესისა და თავად მედიატორის ინსტიტუტის ძირითად აზრს წარმოადგენდეს. სწორედ მორიგების მიზანი და მოდავე მხარეებს შორის კონსესუსის კონცეფცია განასხვავებს მედიაციას დავის გადაწყვეტის ისეთი ალტერნატიული საშუალებისაგან, როგორიცაა არბიტრაჟი. მოგეხსენებათ არბიტრაჟის ფარგლებში არბიტრი საქმის გადაწყვეტას ახდენს რომელიმე მხარის სასარგებლოდ, არბიტრაჟის როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის მიზანი მხარეთა შორის მორიგება არაა, სწორედ ამიტომ შესაძლებელია საარაბიტრაჟო პროცესის შედეგით მოდავე მხარეები უკმაყოფილო ნი დარჩნენ. მოლაპარაკების პროცესის ხელშეწყობა და მხარდაჭერა, თავისუფლება, სამართლებრივი მოქნილობა ეს ის მთავარი შესაძლებლობებია, რომელიც განაპირობებს მედიაციის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის, მნიშვნელობის ზრდას თანამედროვე მსოფლიო იურისპრუდენციაში.[5]

2.მედიაცია საქართველოში

როგორ უკვე აღინიშნა ცივილურ სამყაროსა და თანამედროვე იურისპრუდენციაში მედიაციის ინსტიტუტმა წარმატებით დაიმკვიდრა თავისი ადგილი, სწორედ ამიტომ, ის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ერთ-ერთ ძირეულ საშუალებად იქცა. აღნიშნულიდან გამონაკლისს, ბუნებრივია, არც ქართული კანონმდებლობა წარმოადგენს. აქედან გამომდინარე , შეიძლება ითქვას, რომ მედიაციის შესახებ არსებული ინფორმაციული ვაკუუმი ნელ-ნელა იშლება, ვინაიდან ქართულ თანამედროვე იურისპრუდენციაში წარმატებით იქნა

[5] მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში,(თბილისი-დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი 2013)

იმპლემენტირებული სამედიაციო კანონი[6], რომელიც განსაზღვრავს მედიაციის წარმართვის პრინციპებს, მედიატორთა პროფესიული გაერთიანების ორგანიზებისა და საქმიანობის წესებს, მედიატორის უფლებამოსილებებსა და სამედიაციო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი იურისტები და მკვლევარები წარსულში აქტიურად მიანიშნებდნენ, რომ მართლმსაჯულების ორგანოთა გადატვირთულობა აუცილებელს ხდიდა სამედიაციო პროცესის დეკლარირებას, ვინაიდან დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების მხარდაჭერა თანაბრად შედის როგორც სასამართლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების ინტერესში[7]. საბოლოო ჯამში პროცესის აუცილებლობიდან გამომდინარე მიღწეულ იქნა საკანონმდებლო შეთანხმება, რის შედეგადაც საქართველოში 2020 წლის 1 იანვირდან ამოქმედდა „კანონი მედიაციის შესახებ“.

საჭიროა აღნიშნოს, რომ ქართულ სამედიაციო კანონმდებლობაში ნორმის დონეზე იქნა განსაზღვრული ე.წ „ნებაყოფლობითობის პრინციპი“, რომელიც მხარეთა ხელში არსებულ გარკვეული ტიპის ბერკეტს წარმოადგენს, რათა სამედიაციო პროცესი მხოლოდ მათ შორის შეთანხმებისა და ნების გამოვლენის შედეგად დაიწყოს. „კანონი მედიაციის შესახებ“ მკაფიოდ იძლევა განსაზღვრებას მედიაციის დაწყების წინაპირობებზე და მიუთითებს, რომ სამედიაციო პროცესის დასაწყებად აუცილებელია არსებობდეს მედიაციის თაობაზე შეთანხმება, ან

[6] იხ. საქართველო, საქართველოს პარლამენტი,საქართველოს კანონი, „მედიაციის შესახებ“ (4954-Iს, 18.09.2019), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1

[7] იხ.ცერცვაძე გ., მედიაცია,დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა,(თბილისი-დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი 2010)

არსებობდეს კანონსმიერი ნორმა, რომელის ფარგლებშიც სასამართლო/უფლებამოსილი ორგანო გადასცემს საქმეს მედიატორს.[8]

ქართულ სამედიაციო კანონმდებლობაში განსაზღვრულია მედიაციის პროცესის ისეთი მნიშვნელოვანი უპირატესობა, როგორიცაა კონფიდენციალობა. როგორც სხვა დანარჩენ სამართლებრივ სახელმწიფოებში ასევე საქართველოშიც, მედიაციის პროცესი სრულად კონფიდენციალურია, ასევე კონფიდენციალურია ის ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა პროცესის მიმდინარეობისას ან არსებითად გამომდინარეობდა მედიაციის პროცესიდან. მაშასადამე, ქართული სამედიაციო კანონმდებლობა მხარეთათვის მეტად კომფორტული პროცესის შექმნაზეა ორიენტირებული, რაც თავის მხრივ, ქართული სამედიაციო ინსტიტუტის როლის გაზრდისკენაა მიდრეკილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ იურისპრუდენციაში სამედიაციო კანონმდებლობის შემოღებამ ბევრი აქტუალური საკითხის სამართლებრივი ქოლგის ქვეშ მოქცევა განაპირობა. დღეის მდგომარეობით უკვე არსებობს ნორმატიული აქტი, რომელიც პასუხისმგებელია სამედიაციო პროცესის რეგულირებაზე, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ კანონი ზუსტ და კონკრეტულ განმარტებას არ აკეთებს სამედიაციო მორიგების აღსრულების თემატიკაზე, რაც ამ ნაშრომისა და თემის კვლევის ძირითად აზრს წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე ქართული სამედიაციო კანონი არ ახდენს კონკრეტიზირებას თუ როგორ შეიძლება იქნას სამედიაციო მორიგება აღსრულებული, ან რა ეტაპებს შეიძლება რომ მოიცავდეს ეს პროცესი. კანონისმიერი დათქმით მხარეთა შეთანხმებით სამედიაციო მორიგება შეიძლება სასამართლოს მეშვეობით აღსრულდეს, ხოლო შუამდგომლობა სასამართლოში შეიძლება დააყენოს ერთ-

[8] იხ. საქართველო, საქართველოს პარლამენტი,საქართველოს კანონი, „მედიაციის შესახებ“ (4954-Iს, 18.09.2019), მე-7 მუხ.1 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1

ერთმა[9] ან ორივე მხარემ[10]. როგორც ჩანს, კანონისმიერი დათქმიდან გამომდინარე სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესზე პრაქტიკული აღსრულების ნაწილში კვლავ მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოა პასუხისმგებელი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სამედიაციო მორიგების აღსრულება სამართლებრივად თავისუფალ პროცესს წარმოადგენს, რის გამოც საკითხი კანონისმიერი დათქმების გარდა პრაქტიკის სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს.

[9] იხ.საქართველო, საქართველოს პარლამენტი,საქართველოს კანონი, „მედიაციის შესახებ“ (4954-Iს, 18.09.2019), მუხ.13 , 1 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1

[10] იხ.საქართველო, საქართველოს პარლამენტი,საქართველოს კანონი, „მედიაციის შესახებ“ (4954-Iს, 18.09.2019), მუხ.13, 2 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1

თავი II. სამედიაციო მორიგების აღსრულების არსი და პირობები

1. სამედიაციო მორიგების აღსრულების მნიშვნელობა

თანამედროვე ქართულ იურისპრუდენციაში სამედიაციო მორიგების პროცესის აქტუალურობასთან ერთად იზრდება სამედიაციო მორიგების აღსრულების მნიშვნელობა, რაც, თავის მხრივ, მის სიღრმისეულ განმარტებას საჭიროებს. სამედიაციო მორიგების აღსრულება სამართლებრივ ჭრილში გულისხმობს იმ მნიშვნელოვანი შეთანხმების რეალიზებას/სისრულეში მოყვანას, რაც სამედიაციო მორიგება აქტით (შეთანხმებით) იქნა განსაზღვრული. ბუნებრივია სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის მნიშვნელობა გამომდინარეობს მხარეთა ინტერესებიდან, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების პირობებში, აუცილებელია განსაზღვრულ იქნეს თუ როდის და რა პირობების დაკმაყოფილების დროს გააჩნია სამედიაციო მორიგების აქტს იურიდიული ძალა და როგორი სამართლებრივი მექანიზმებით იცავს ის მოდავე მხარეებს . ქართული სამედიაციო კანონმდებლობის პარალელურად აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მედიაციის შესახებ ევროპული დირექტივა[11], რომლის მიხედვით, საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმომწერი ქვეყნები ვალდებულნი არიან შიდა კანონმდებლობაში მოახდინონ ნორმათა ჩამოყალიბება იმდაგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს სამედიაციო მორიგების შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულება. ზემოხსენებულის მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ ევროპული დირექტივა არ აკეთებს კონკრეტულ დათქმას თუ რა ფორმით უნდა შეიძლება რომ განხორციელდეს ამ საკითხის იმპლემენტირება[12].

სამედიაციო მორიგების აღსრულების მნიშვნელობაზე საუბრისას, უნდა გვახსოვდეს, რომ მედიაციის პროცესი წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ერთ-ერთ ალტერნატიულ საშუალებას, რომლის მთავარი უპირატესობა მისი

[11] იხ. DIRECTIVE 2008/52/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL, Official Journal of the European Union, 24.5.2008 https://eur-lex.europa.eu/legal-content/GA/TXT/?uri=CELEX:32008L0052.

[12] იხ. Bruno Zeller, Leon Trakman Mediation and arbitration: the process of enforcement , 2019.

სამართლებრივად მოქნილი ბუნებაა. სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესის მკაფიო საკანონმდებლო ჩანაწერი კი ხსენებული მოქნილი ბუნებისა და მედიაციის ინსტიტუტის უპირატესობის გარანტია, ვინაიდან მხარეთა კანონიერი ინტერესი სწორედ ისეთი შეთანხმების შედგენაზეა ორიენტირებული, რომლის აღსრულების პროცესი საკანონმდებლო დონეზე მარტივად იქნება შესაძლებელი.

სამედიაციო მორიგების აღსრულების ეტაპი, შეიძლება მივიჩნიოთ როგორც სამედიაციო პროცესის ფინალური სერია, ვინაიდან ეს უკანასკნელი გვევლინება იმ „კეთილ“ ნაწილად, რომლის ფარგლებშიც ხდება მედიაციის გზით მიღწეული შეთანხმების პრაქტიკული განხორციელება. სწორედ ამ პროცესის შემდგომ ხდება მხარეთა მიერ სამედიაციო ინსტიტუტის უპირატესობის რეალური გაგება. როგორც უკვე აღინიშნა, ნებაყოფლობითობის ელემენტი მედიაციის ინსტიტუს ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი კომპონენტია, ეს უკანასკნელი არც სამედიაციო მორიგების აღსრულების ნაწილში წარმოადგენს გამონაკლისს, ვინაიდან სამედიაციო მორიგება სრულად ექვემდებარება ნებაყოფლობით აღსრულებას[13], სწორედ ამიტომ სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხიც მხარეთა ნებაყოფლობითობის პრინციპის დაცვლის ჭრილში უნდა იქნეს განხილული.

[13] იხ. დებულება ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მორიგების პროცედურის წარმართვის შესახებ, სსიპ „ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭო-28.02.2018, მუხ.11

2. სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესი

კონტინენტური ევროპისა და ანგლო-ამერიკული სამართლის მოწყობის ქვეყნებში, სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესი სხვადასხვა ფორმით რეგულირდება. რიგ ქვეყნებში მორიგების აღსრულების საკითხი სრულად სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციაში შედის, რაც სასამართლო მართლმსაჯულების ორგანოს მიერ სამედიაციო შეთანხმების დამტკიცებას გულისხმობს, ხოლო ნაწილის შემთხვევაში კი ეს შეიძლება არა სასამართლოს, არამედ სხვა შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის მქონე ორგანოს უფლებამოსილების საგანი იყოს. ქართულ იურისპრუდენციაში სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესი, ხშირ შემთხვევაში, უშუალოდაა დაკავშრებული სასამართლო მართლმსაჯულების ორგანოსთან. ქართული სამედიაციო დოქტრინის მიხედვით მედიაციის პროცესი შეიძლება გავმიჯნოთ სასამართლო[14], კერძო[15] (კომერციულ) და სანოტარო მედიაციად. აქვე უნდა განიმარტოს, რომ სანოტარო მედიაციის ცნება და მორიგების აღსრულების რეგულირება ქართული სამედიაციო კანონმდებლობით არ ხდება. სანოტარო მედიაცია, როგორც მედიაციის სპეციალური სახე ექცევა, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის[16] რეგულირების ქვეშ.

---

[14] იხ.საქართველო, საქართველოს პარლამენტი,საქართველოს კანონი, „მედიაციის შესახებ“ (4954-Iს, 18.09.2019), მუხ. 2, ა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1

[15] იქვე. მუხ. 2, ბ https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1

[16] იხ. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, ნოტარიატის შესახებ (2283, 4.12.2009),), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/90928?publication=18

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესი მჭიდროდაა დაკავშირებული სასამართლო ინსტანციასთან, თუმცა ეს სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესში სასამართლოს უალტერნატივობას არ გულისხმობს. სამედიაციო პროცესის შედეგად მიღწეული შეთანხმება მხარეთა მონაპოვარს წარმოადგენს[17], რაც ამ შეთანხმების აღსრულების ნებაყოფლობითობას განსაზღვრავს. ქართული სამედიაციო კანონი მოდავე მხარეებს შესაძლებლობას აძლევს მიმართონ სასამართლო მართლმსაჯულების ორგანოს სამედიაციო მორიგების აქტის დადასტურებლად, რათა მათ შეთანხმებას სასამართლო იურიდიული ძალა და შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი ჰქონდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამედიაციო პროცესში მიღწეული შეთანხმება ჩვეულებრივ ხელშეკრულებას წარმოადგენს, სასამართლოს დადასტურების გარეშე მას არ აქვს შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი, თუმცა ვინაიდან ასეთი შეთანხმება მორიგების შედეგადაა მიღწეული მას სასამართლოს მიერ დადასტურების გარეშეც აღსრულების დიდი პერსპექტივა გააჩნია. სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესში, სასამართლოს უალტერნატივობის საპირისპიროდ ასევე შეიძლება ითქვას, რომ ვინაიდან მხარეებმა დავის გადასაწყვეტად მედიაციის ინსტიტუტს მიმართეს და პროცესი მორიგებით დაასრულეს, სათუოა რომ მათ კვლავ სასამართლო ინსტანციაში შეთანხმების დამოწმების სურვილი ჰქონდეთ. მორიგების აღსრულების პროცესში სასამართლოსთვის მიმართვიანობის უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც მიღწეულ სამედიაციო შეთანხმების მიმართ, მხარეთა მიერ, მაინც არსებობს გარკვეული ეჭვები, ამ შემთხვევაში ქართული სამედიაციო კანონმდებლობა ერთ-ერთი ან ორივე მხარეს

[17] იხ. ყანდაშვილი ი., 2018, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

აძლევს საშუალებას რომ მორიგების აღსრულების მეტი სამართლებრივი გარანტიის მოპოვების მიზნით მიმრათონ სასამართლოს[18].

სამედიაციო მორიგების ზემოაღნიშნული პროცესის სპეციფიკა ცხადყოფს რომ მედიაციის ინსტიტუტი, როგორც დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი ალტერნატიული საშუალება, სხვა საშუალებებთან შედარებით, ხშირ შემთხვევაში უპირატესია და მხარეთათვის მეტად კომპფორტულ პირობებს ქმნის. სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესის დროს მთავარია მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების პირობები არ ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონმდებლობასა და საჯარო წესრიგს, ამ პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში კი მხარეებს ყოველგვარი სასამართლო თუ სხვა სახელმწიფო ორგანოს გვერდის ავლით, დამოუკიდებლად და მათი ნებელობდან გამომდინარე შეუძლიათ განაგრძონ სამოქალაქო აქტივობა და აიღონ პასუხისმგებლობა სამედიაციო მორიგების პროცესში დადებულ შეთანხმების შესრულებაზე.

2.1 სამედიაციო მორიგების აღსრულება კერძო მედიაციის პირობებში

ქართული იურისპრუდენცია საკანონმდებლო დონეზე გვინმარტავს კერძო მედიაციის ცნებას. კერძო მედიაცია იურიდიულ პრაქტიკაში ხშირად კომერციულ მედიაციადაც არის მოხსენიებულ, ამის მიზეზად კი შეიძლება მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ მედიაციის ეს სახე მეტად მოქნილ და სხვადასხვა ინსტიტუციუებისგან ჩაურეველ პროცესს წარმოადგენს.

სამედიაციო მორიგების აღსრულების კვლევის ფარგლებში აუცილებელია აღინიშნოს, რომ ქართული სამედიაციო კანონმდებლობა არ გვაძლევს ზუსტ

[18] იხ. საქართველო, საქართველოს პარლამენტი,საქართველოს კანონი, „მედიაციის შესახებ“ (4954-Iს, 18.09.2019), მუხ.13,2 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1

განმარტებას, თუ როგორ და რა ფორმით შეიძლება წარიმართოს კერძო მედიაციის პირობებში მორიგების აღსრულების პროცესი. აღნიშნულის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად კი შეიძლება მხარეთა ნებაყოფლობითობის პრინციპი დავასახელოთ. ვინაიდან მხარეები, მედიატორის დახმარებით, თავად თანხმდებიან მათ შორის დადებული შეთანხმების პირობებზე, ამ შეთანხმების აღსრულების საკითხის დამატებითი საკანონმდებლო რეგულირება ქართველმა კანონმდებელმა საჭიროდ აღარ მიიჩნია. სამედიაციო მორიგების აღსრულების ნორმათა ასეთი ხასიათი შეიძლება ქართულ იურისპრუდენციაში ე.წ „რბილი სამართლის“[19] (Soft Law) გავლენასაც მივაწეროთ, ვინაიდან კერძო მედიაციის პირობებში სამედიაციო მორიგების აღსრულების თემატიკა, ნებისმიერ შემთხვევაში, ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

ქართულ სამართლებრივ სივრცეში არსებობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სანოტარო მედიაცია წარმოადგენს კერძო (კომერციული) სამედიაციის ცალკეულ სახეს და ეს ორი სამედიაციო სამართლებრივი დისციპლინა ერთ სიბრტყეში უნდა იქნეს მოაზრებული. საკითხის ამდაგვარი გადაწყვეტა სანოტარო მედიაციიის აღსრულების საკითხის მეტად გასაგებ ბუნებასა და საკანონმდებლო დონეზე მის კონკრეტიზაციას უნდა მივაწეროთ. აქვე აღსანიშნავია, რომ სამართლის მკვლევართა ნაწილი კერძო მედიაციას განმარტავს როგორც სამედიაციო პროცესს, რომელიც დამოუკიდებელია სასამართლო მართლმსაჯულების ორგანოსგან.[20] შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კერძო მედიაციის ჩნებისა ასეთი განმარტება მეორე მიზეზია იმისა რატომაც შეიძლება იურიდიულ პრაქტიკაში სანოტარო მედიაცია გაიგივებულ იქნეს კერძო მედიაციასთან. მიუხედავად ზემოთთქმულისა კერძო მედიაცია საკანონმდებლო დონეზე,

[19] იხ. ე.წ „რბილი სამართლის“ დეფინიცია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, სამოქალაქო განათლების ლექსიკონი,http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6050

[20] იხ. იხ. ყანდაშვილი ი., 2018, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გვ.183

კერძოდ კი „მედიაციის შესახებ“ კანონით ცალკე დისციპლინადაა განმარტებული, ამასთან აღნიშნული კანონი საერთოდ არ ვრცელდება სანოტარო მედიაციის პროცესზე რაც ქართულ სამედიაციო სამართლის დოქტრინაში კერძოს მედიაციის სანოტარო მედიაციასთან გაიგივებას გამორიცხავს.

ვინაიდან კერძო სამედიაციო მორიგების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები პირდაპირ საკანონმდებლო რეგულირებას არ ექვემდებარება, სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის ორიენტირებისთვის აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო სამართლის ზოგადი წესებიდან. კერძო სამედიაციო შეთანხმება წარმოადგენს ჩვეულებრივ სამოქალაქო სამართლებრივ გარიგებას[21], რომელის შესრულების ვალდებულება გამომდინარეობს თავად ასეთი ტიპის გარიგების/ხელშეკრულების შინაარსიდან. მაშასადამე, კერძო სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი, თუ მორიგება შემდგომში არ იქნა დამოწმებული სასამართლოს მიერ, დამოკიდებულია მორიგების შინაარსსა და მხარეთა ნებაზე, რადგან თუ კერძო მედიაციის ფარგლებში არ მოხდა მორიგების დამოწმება სასამართლოს მიერ, მხარეებს სამართლებრივ ვალდებულებას მორიგების შესრულებაზე ვერ დაეკისრებათ.

კერძო სამედიაციო მორიგების აღსრულების კვლების ფარგლებში აუცილებელია განისაზღვროს თუ როგორ დარეგულირდება სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხები სააღსრულებლო ფურცელის[22] გაცემასთან დაკავშირებით. ბუნებრივია თუ მედიაციის პროცესი მორიგებით იქნა დასრულებული, საუბარი სააღსრულებო წარმოებაზე[23] არ იქნება იქნება, ვინაიდან

[21] იხ.საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (786, 26.06.1997), მუხ.50 გარიგების ცნება, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა; https://matsne.gov.ge/

[22] იხ. სააღსულებო ფურცლის ცნება http://nbe.gov.ge/index.php?sec_id=465&lang_id=GEO

[23] იხ. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ (1908, 16.04.1999), მუხ. 15, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442?publication=97

ეს უკანასკნელი წარმოადგენს იძულებითი ღონისძიების სპეციალურ სახეს, რომელიც ორიენტირებულია კრედიტორის[24] სამართლებრივი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. მიუხედავად ამისა, სამედიაციო მორიგების ფარგლებში არსებობს შემთხვევები, როდესაც მხარეები დავას მორიგებით ასრულებენ, თუმცა საჭირო ხდება ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საკითხის განსაზღვრა. მოცემულ შემთხვევაში, კერძო მედიაციის პირობებში აუცილებელი იქნება, რომ კერძო სამედიაციო მორიგება შემდგომში სასამართლოს მიერ დამოწმებული, რათა ამ უკანასკნელის განჩინების საფუძველზე გაცემულ იქნეს სააღსრულებო ფურცელი.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია აღსრულების ქვემდებარე აქტები. სწორედ კანონით განსაზვრული აქტების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი ხდება სააღსრულებო წარმოების დაწყება. აღსრულების ქვემდებარე ერთ-ერთ აქტს სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განჩინება[25] წარმოადგენს, რაც სააღსრულებო წარმოების დაწყების საფუძველია. გამომდინარე აქედან, კერძო სამედიაციო მორიგების ფარგლებში აუცილებელი ხდება, რომ მორიგება დამოწმებულ იქნეს სასამართლოს მიერ, რათა შემდგომში შესაძლებელი გახდეს, კრედიტორის მიერ სასამართლოსთვის შუამდგომლობის დაყენება რათა ამ უკანასკნელის შესაბამისი განჩინებით სსიპ „აღსრულების ეროვნულმა ბიურომ“ დაიწყოს სააღსრულებო წარმოება. კერძო სამედიაციო მორიგების სასამართლო დაუმოწმებლობის გარეშე, სააღსრულებო ფურცლის გაცემის პროცედურა სამართლებრივად წარმოუდგენელია, ვინაიდან ქართულ საკანონმდებლო სივრცეში არ არის მოცემული ნორმა, რომელიც აღსრულების ბიუროს

[24] იხ. კრედიტორის ცნება http://nbe.gov.ge/index.php?sec_id=484&lang_id=GEO

[25] იხ.საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ (1908, 16.04.1999), მუხ 2, ა , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442?publication=97

ვალდებულს გახდიდა სააღსრულებო წარმოება სააღსულებო ფურცლის გარეშე, მხოლოდ მხარის მიმართვის საფუძველზე დაეწყო.

ყოველივე ზემოაღნიშნული სამართლებრივი არგუმენტაციის მიუხედავად, კერძო სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი ფართო ცნებას წარმოადგენს, რაც ამ სფეროში მოღვაწე იურისტებისათვის კანონის ანალოგიის[26] გამოყენების საშუალებას იძლევა. კანონის ანალოგია კერძო სამედიაციო პროცესისათვის დამხმარე სამართლებრივ ინსტრუმენტად უნდა იქნეს მიჩნეული. აღნიშნული წინაპირობებიდან გამომდინარე კერძო სამედიაციო მორიგების პროცესი მოდავე მხარეთათვის მნიშვნელოვნად კომფორტულ, მოქნილსა და ნოვაციურ ინსტიტუტს წარმოადგენს, რის გამოც კერძო მედიაციით მოსარგებლე პირების რიცხვი მუდმივად მზარდია.

2.2 სამედიაციო მორიგების აღსრულება სანოტარო მედიაციის პირობებში

ქართულ კანონმდებლობაში სანოტარო მედიაცია და მისი სამართლებრივი მახასიათებლები ნოვაციას აღარ წარმაოდგენს. აღნიშნულ საკითხს მრავალი წელია რაც პრაქტიკული დანიშნულება აქვს, თუმცა მისი აღსრულებისა და სპეციფიკის განსაზღვრა რიგ შემთხვევებში მაინც ბუნდოვან პროცესებთანაა დაკავშირებული, რის გამოც სამართლის მკვლევართა გარკვეული ნაწილი მიიჩევს, რომ საჭიროა სანოტარო მედიაციის პროცესთან დაკავშირებული კანონმდებლობის მნიშნველოვნად გაუმჯობესება. საკითხის კვლევის ფარგლებში დაინტერესების მთავარი მიზანი სანოტარო მედიაციის ფარგლებში მორიგების აღსრულების სპეციფიკის განსაზღვრაა. უნდა აღინიშნოს რომ განსვავებით კერძო მედიაციისაგან, სანოტარო მედიაცია რეგულირდება „ნოტარიატიოს შესახებ“ საქართველოს კანონით, ამიტომ აღნიშნული კანონმდებლობა სანოტარო მედიაციის მთავარ სამართლებრივ წყაროდ უნდა იქნეს მიჩნეული

[26] იხ.საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, სამოქალაქო განათლების ლექსიკონი,კანონის ანალოგიის ცნება http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=14126

სანოტარო მედიაცია წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ ფორმას და ის მედიაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა. სანოტარო მედიაციის პირობებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს სსიპ -„საქართველოს ნოტარიუსთა პალატა“[27], რომელსაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი აქვს და ნოტარიუსთა ნებაყოფლობით გაერთანებას წარმოადგენს. სანოტარო მედიაცია სასამართლო განხილვის გარშე, ნოტარიუსის დახმარებით მიმდინარეობს, თუმცა აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობაში განსაზღვრულია იმ დავების კატეგორიები, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია სანოტარო მედიაციის პროცესის[28] განხორციელება. ბუნებრივია კანონმდებლობის ასეთი ჩანაწერილი განსაზღვრავს სანოტარო სამედიაციო მორიგების აღსრულების ფარგლებსაც.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ სამედიაციო მორიგების აღსრულების პირობების განმარტებისთვის საჭიროა სამედიაციო პროცესი აკმაყოფილებდეს „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ წესებს, რომლის ფარგლებშიც მოხდება სამედიაციო პროცესის განსაზღვრა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოდავე მხარეთა მორიგების პროცესში ჩართული უნდა იყოს მედიატორი -ნოტარიუსი და საქმე უნდა ეხებოდეს „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კონკრეტული დავის კატეგორიას. სწორედ ამ პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაძლებელია საუბარი გვქონდეს სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესსა და მის სპეციფიკაზე.

სამედიაციო მორიგების აღსრულება სანოტარო მედიაციის ფარგლებში უკავშირდება სანოტარო მედიაციის დროს ნოტარიუსის მეშვეობით, მხარეთა

[27] იხ.საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, ნოტარიატის შესახებ (2283, 4.12.2009),), მუხ. 4,1 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/90928?publication=18

[28] იხ. იხ.საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, ნოტარიატის შესახებ (2283, 4.12.2009),), მუხ.38[1], 1 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/90928?publication=18

მიერ დადებულ ისეთ მორიგების აქტს, რომელიც დამოწმებულია სპეციალური სანოტარო წესით და შეძენილი აქვს იურიდიული ძალა[29]. ბუნებრივია სანოტარო მედიაციის პროცესში შემდგარი შეთანხმება ორივე მხარისათვის შესასრულებლად სავალდებულო ხასიათს ატარებს, თუმცა შესაძლებელია, რომ სამედიაციო მორიგებს პროცესის შემდგომ მხარეთა მიერ დარღვეულ იქნას მორიგების პირობები. იმ შემთხვევაში თუ მხარეთა მიერ არ სრულდება სანოტარო მედიაციის პროცესის ფარლგებში შემდგარი მორიგების აქტის პირობები იძულებითი აღსრულების პროცესი ხორციელება ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე[30]. მაშასადამე, თუ მხარეთა მორიგების აქტის პირობები შეუსრულებელი რჩება და საჭირო ხდება სააღსრულებო წარმოების დაწყება, სააღსრულებო წარმოების დაწყების თაობაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა ნოტარიუსის პრეროგატივას წარმოადგენს. საკითხის კვლევისას ასევე ხაზგასასმელია, რომ „სააღსრულებო წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული აღსრულების ქვემდებარე აქტებს შორის გვხვდება სანოტარო აქტი[31], რაც იმის მანიშნებელია, რომ სანოტარო აქტში განსაზღვრული შეთანხმება შემდგომში შესაძლებელია მოექცეს სააღსრულებო წარმოების ქვეშ.

სანოტარო მედიაციის აღსრულების ფარგლებში უნდა ითქვას, რომ სასამართლოს კომპონენტი სრულად არის ჩანაცვლებული ნოტარიუსის მიერ, რაც ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლებამოსილებაში გამოიხატება. სანოტორაო მედიაციის დროს მორიგების აღსრულების ფარგლებში

[29] იხ. იხ.საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, ნოტარიატის შესახებ (2283, 4.12.2009),), მუხ.38[1], 4 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/90928?publication=18

[30] იხ. იხ.საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, ნოტარიატის შესახებ (2283, 4.12.2009),), მუხ.38[1], 5 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/90928?publication=18

[31] იხ.საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ (1908, 16.04.1999), მუხ.2,ნ ქვეპუნქტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა: https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442?publication=97

მხარეთა შეთანხმება სასამართლოს გვერდის ავლით პირდაპირ სსიპ „ აღსრულების ერვონულ ბიუროში“ მიდის. კვლევის ამ ფარგლებში საინტერესო ხდება თუ უშუალოდ რომელი ნოტარიუსია სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე უფლებამოსილი. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლი განსაზღვრავს იმ ნოტარიუსთა ჩამონათვალს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან სააღსულებო ფურცლის გაცემაზე[32]. კანონის მიხედვით სააღსრულებო ფურცის გაცემაზე უფლებამოსილია ის ნოტარიუსი, რომელმაც სანოტარო წესით დაადასტურა სანოტარო გარიგების შინაარსი. იმ შემთხვევაში თუ სანოტარო მედიაციის ფარგლებში მორიგების აქტის დამადასტურებელ ნოტარიუსს შეუჩერდა შესაბამისი უფლებამოსილება, აღნიშნულის განხორციელების უფლება ექნება სხვა მოქმედ ნოტარიუსს[33].

ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, სანოტარო მედიაციას ერთ-ერთს ყველაზე პრაქტიკულ და მოქნილ მედიაციის სახედ მიიჩნევენ. ნაკლები დროისა და ფინანსური ხარჯების გამო სანოტარო მედიაციის პროცესის უპირატესობა სასამართლო მედიაციასთან სულ უფრო აშკარა ხდება. აღნიშნული უპირატესობის ერთ-ერთი მთავარ კომპონენტს კი სანოტარო მედიაციის ფარგლებში მორიგების აღსრულების მარტივი და ზედმეტი ბიუროკრატიული პროცესისგან დამოუკიდებელი წესები წარმოადგენს. სწორედ ამის გამოა სანოტარო მედიაციის მიმართ მეტი ნდობა და მიმართვიანობა, თუმცა მიუხედავად ხსნებული მსჯელობისა სამართლის მკვლევართა გარკვეული ჯგუფი

[32] იხ. იხ.საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, ნოტარიატის შესახებ (2283, 4.12.2009),), მუხ.40, 3 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/90928?publication=18

[33] იხ.მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში,(თბილისი-დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი 2013), გვ. 75-76

მიიჩნევს, რომ სანოტარო მედიაციის ინსტიტუტი და მისი აღსრულების პირობები მეტ კანანონმდებლო უზრუნველყოფასა და ღიაობას საჭიროებს.

3. სამედიაციო მორიგების აღსრულება გერმანული მოდელის მაგალითზე

საქართველოში სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის კვლევის პარალელურად საინტერესოა განვიხილოთ მორიგების აღსრულების ინსტიტუტის მუშაობის სპეციფიკა კონტინენტური ევროპის, კერძოდ კი გერმანული სამართლის მოდელის მაგალითზე. ნაშრომის ფარგლებში უკვე აღინიშნა, რომ ქართულ სამედიაციო სამართლის სფეროში ხშირია სასამართლო ინსტიტუტის როლი სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესში, კერძოდ სამედიაციო მორიგების აქტის დამოწმებასა და მისთვის იურიდიულად სავალდებულო ხასიათის შეძენაში. როგორც აღინიშნა, სამედიაციო სამართლის სიბრტყეში კონტიტენტური ევროპის კანონმდებლობის მთავარი სახელმძღვანელოს ევროპული დირექტივა წარმოადგენს, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ქართულ სამედიაციო კანონმდებლობაზეც. ნაშრომის კვლევის ფარგლებში განვიხილეთ მედიაციის სხვადასხვა ტიპი და მათ პირობებში სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი. გამომდინარე აქედან, საინტერესო ხდება თუ როგორი სამართლებრივი პარალელის გავლებაა შესაძლებელი ქართულ სამედიაციო კანონმდებლობასა და ევროპული ქვეყნის სამედიაციო კანონმდებლობას შორის.

კონტიტენტური ევროპის სამართლის ერთ-ერთ ძირეულ სამართლებრივ ბაზად გერმანული სამართლის კანონმდებლობა ითვლება. გამომდინარე აქედან კვლევის ფარგლებში ქართული სამედიაციო პროცესის ევროპული კანონმდებლობასთან შედარებისათვის გერმანული მოდელის აღება კვლევის სიღრმისეული კვლევისათვის აუცილებლად იქნა მიჩნეული. გერმანიაში მედიაციის შესახებ ფედერალური კანონი[34] (Gesetz zur Förderung der Mediation

[34] იხ. Gesetz zur Förderung der Mediation und anderer Verfahren der außergerichtlichen Konfliktbeilegung) -federal law Gazette part1, 25.07.2012

undanderer Verfahren der außergerichtlichen Konfliktbeilegung) 2012 წლის 21 ივლისს ამოქმედდა, რაც იმას ნიშნავს, რომ რამოდენიმე წლის წინ მედიაციისა და სამედიაციო მორიგების აღსრულების სამართლებრივი რეგულირება გერმანიის დონის კანონმდებლობაშიც კიგარკვეულ ნოვაციას წარმოადგენდა. გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, არ არის აუცილებელი რაიმე სპეციალური ფორმა იმისათვის, რომ გაფორმდეს სამედიაციო მორიგების აქტი. სამედიაციო მორიგების აქტის, როგორც ჩვეულებრივი სამართლებრივი ხელშეკრულების გაფორმება, გერმანიაში ამ ქვეყნის სამოქალაქო კოდექსის ფარგლებში რეგულირდება. გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, უძრავი ქონების განკარგვის შესახებ არსებული შეთანხმება/გარიგება აუცილებლად საჭიროებს დამოწმებას სანოტარო წესით[35].

გერმანული სამოქალაქო სამართლებრივი კანონმდებლობა[36] (ZPO) საშუალებას აძლევს მხარეებს სასამართლო ინსტანციის გარეშე მედიაციის პროცესში შედგენილი მორიგების აქტი იძულებით აღსასრულებელ დოკუმენტად აქციონ. ზემოხსენებული კანონმდებლობის მიხედვით, თუ მხარეები სამედიაციო მორიგების პროცესში ნოტარიუს ჩართავენ და მორიგებას სანოტარო წესით დაამოწმებენ, მაშინ მათ შორის დადებული მორიგების აქტს პირდაპირი აღსრულების სამართლებრივი ხასიათი ექნება[37].

გერმანულ სამართლებრივ სივრცეში, სასამართლო ინსტანცია ყოველთვის ფუნდამენტური როლს ასრულენდა, ამიტომ ბუნებრივია რომ სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესში მიმართვიანობა სასამართლო ინსტიტუტს

---

https://www.bgbl.de/xaver/bgbl/start.xav?start%20bk=Bundesanzeiger_BGBl&start=//*%255B@attr_id=%2527bgbl112s1577.pdf%2527%255D#__bgbl__%2F%2F*%5B%40attr_id%3D%27bgbl112s1577.pdf%27%5D__1591520947446

[35] Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and procedurs, Cambridge, 2013, გვ.172

[36] იხ. Zivilprozessordnung, https://www.gesetze-im-internet.de/zpo/

[37] Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Cambridge, 2013, გვ.175-176

მიმართ საკმაოდ დიდია. სასამართლო მედიაციის განვითარება გერმანიის სახელმწიფოში ჯერ კიდევ გასული საუკინიდან იღებს სათავეს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანულ სამართლებრივ დოქტრინაში მკაცრადაა გამიჯნული სასამართლო მედიაცია ე.წ გარე მედიაცია[38]. გერმანიის ფედერაციაში სამედიაციო პროცესის ძირითად შემთხვევებში საქმე გვაქვს სამედიაციო მორიგების აქტის სასამართლო წესით დამოწმებასთან, რასაც შემდგომში შესასრულებლად სავალდებულო ხოლო აღსასრულებრად პირდაპირი ხასიათი გააჩნია. გერმანიაში სამედიაციო პროცესში სასამართლო ხელისუფლების ჩართულობა ძალიან ჰგავს ქართულ სამედიაციო პროცესსაც, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაშიც სასამართლოს მიერ სამედიაციო მორიგების აქტის დამოწმებას იგივე სამართლებრივი შედეგის დაყენების შესაძლებლობა აქვს, როგორც ეს გერმანული მოდელის შემთხვევაში ხორციელდება.

ქართული სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის კვლევის ფარგლებში გერმანული სამედიაციო კანონმდებლობის სრულყოფილი ანალიზი მეტად კომპლექსურ თემას წარმოადგენს, თუმცა აღსანიშნავია, რომ გერმანულის მსგავსად ქართულ კანონმდებლობაც იძლევა საშუალებას მხარეების სამედიაციო მორიგების პროცესი იმდაგავრად წარიმართოს, რომ თავიდან იქნეს აცილებული ბიუროკრატიული წესები და დროში გაწეწლილი პროცედურები. პირველ რიგში ეს უკანასკნელი სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესში სასამართლო ხელისუფლების ალტერნატივის გზას გულისხმობს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო მედიაციის რეგულირება გერმანიის ფედერაციაში კონკრეტულ ნორმათა საფუძველზე ხორციელდება და არ წარმოადგენს ინტერპერატაციის საკითხს, ხოლო გარე მედიაციასთან დაკავშირებული პროცედურები ქართული კანონმდებლობის მსგავსად არ არის იმდენად კონკრეტიზირებული რომ ასეთი

[38] იხ.წულაძე ა., ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი,თბილისი 2017, გვ 77

ტიპის მედიაციის პროცესში სამედიაციო მორიგების აღსრულება რაიმე კონკრეტულ ფორმასა თუ წესზე იყოს დამოკიდებული.

4. სამედიაციო მორიგების აღსრულება ამერიკის შეერთებული შტატების მოდელის მაგალითზე

ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა ეფუძნება პრეცედენტული სამართლის დოქტრინას, რაც მედიაციის პროცესისა და სამედიაციო მორიგების აღსრულების რიგი წესების ძალიან ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთან ერთად აშშ-ს ფედერაციული მოწყობის გამო ყველა შტატში შემუშავებულია სამედიაციო პროცესის მარეგულირებელი ინდივიდუალური წესები, ამიტომ მედიაციის პროცესი თითოეულ შტატში ერთმანეთისგან განსხვავებული წესია დადგენილი. შტატების მიერ სამედიაციო პროცესის განსხვავებული რეგულირების მიუხედავადავად, მედიაციის მარეგულირებელ ყველა სამართლებრივ აქტში მითითებულია სამედიაციო პროცესის უზოგადესი პრინციპები, რომლითაც მედიატორმა სამედიაციო პროცესის მიმდინარეობისას უნდა იხელმძღვანელოს[39].

სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის კვლევის ფარგლებში ამერიკის შეერთებულ შტატების მოდელის სრულფასოვანი კვლევა შეუძლებელია, ვინაიდან ამერიკული მოდელი ფართო სამართლებრივი გაგებით 51 სხვადასხვა იურისდიქციას გულისხმობს ამიტომ საჭიროდ იქნა მიჩნეული განმარტებულიყო ის ზოგადი მახასიათებლები რომელიც ამერიკულ მოდელს გააჩნია და ამ მახასიათებლების შედარება ქართულ სამედიაციო სფეროსთან.

უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკულ მოდელს შტატების მიხედვით არ გააჩნია საერთო ფორმა თუ როგორ უნდა იქნეს ფორმულირებული და შედგენილი სამედიაციო მორიგების აქტი. ზოგიერთ შტატში სამედიაციო

[39] იხ.წულაძე ა., „სასამართლო მედიაციის მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში“,თბილისი- 2016. გვ 94-95

პროცესის მორიგებით დასრულების შემდეგ მორიგების აქტის შედგენა პირდაპირაა დაკავშირებული სასამართლო ხელისუფლებასთან, ვინაიდან რიგ შემთხვევაში სწორედ სასამართლო ინსტანცია გასცემს მხარეთა შორის მორიგების ორდერს.

კალიფორნიის შტატის სამართლებრივი აქტების მიხედვით, სამედიაციო მორიგების პროცესში მხარეთა შეთანხმება სასამართლო წესით უნდა იქნეს დამოწმეული, სხვა შემთხვევაში ეს იქნება სტანდარტული სამოქალაქო ხელშეკრულება რომლის დარღვევის შემთხვევაშიც მხარეს უფლება ექნება მიმართოს სასამართლო ხელისუფლებას, რათა მოხდეს სამედიაციო მორიგების აღსრულება[40]. ამერიკული მოდელის ფარგლებში უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსად გერმანიისა და საქართველოს სამედიაციო მორიგების კანონმდებლობისა, ამ შემთხვევაშიც ყველაზე მეტად სასამართლო მედიაციის პირობებია კონკრეტიზირებული, მეტიც, ამერიკული მოდელის ფარგლებში სასამართლოს როლი კიდევ უფრო ფართო მასშტაბს მოიცავს, ვინაიდან პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში სამართლებრივ პრეცედენტს სასამართლო ინსტანცია აყალიბებს, რის გამოც ამ ინსტიტუტს კონტიტენური ევროპის სამართლის ქვეყნებისგან განსხვავებით უფლებამოსილების ფართო არეალი გააჩნია.

კალიფორნიის შტატის სამართლებრივი რეგულირების აქტის დიდი ნაწილი სამედიაცო პროცესში კონფიდენციალობისა და მედიატიოს მხრიდან ეთიკური ნომრების დაცვას ეთმობა[41]. ეს უკანასკნელი კი იმაზე მიუთითებს, რომ სამედიაციო მორიგების აღსრულების ფარგლებში უდიდესი მნიშნელობა ენიჭება სამედიაციო მორიგების პროცესის წარმართვის წესების დაცულობას, ვინაიდან

[40] იხ. აბრამიშვილი ა., 2017, მედიაციის სისტემის შედარებითი ანალიზი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის მაგალითზე საქართველოში მედიაციის განვითარების პერსპექტივა,სადისერტაციო ნაშრომი, 2017, გვ63

[41] იხ. Adjunct Professor, Pepperdine University School of Law;
International Counsel; Hughes Hubbard & Reed LLP, Los Angeles, „Mediation under National Law: United States of America“ 2005, გვ50-51

სასამართლოს მიერ ასეთი ტიპის წესების დარღვევის შემთხვევაში სამედიაციო მორიგების აქტი ბათილად იქნება მიჩენული, რაც თავისმხრივ მორიგების აღსრულებას შეუძლებელს გახდის.

ამერიკული მოდელის ფარგლებში სანოტარო და კერძო მედიაციის პირობები და წესები განისაზღვრება ზოგადი პრეცენდენტებითა და პრინციპებით, რის გამოც ამ საკითხზე კონკრეტული შედარების გაკეთება გამოკიდებულია პრეცენდენტების ინიდივიდუალურ კვლევაზე.

თავი III. სასამართლო მედიაცია

1. სამედიაციო მორიგების აღსრულება სასამართლო მედიაციის პირობებში.

ქართულ იურისპრუდენციაში საკანონმდებლო დონეზე სასამართლო მედიაცია 2011 წლის 20 დეკემბერს განისაზღვრა, მაშინ როცა სამოქალაქო საპროცესო კოდექს XXI[1] თავი დაემატა. აღსანიშნავია რომ სასამართლო მედიაციის ცნების კონკრეტულ განმარტებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ იძლეოდა[42], რის გამოც კანონმდებელმა სასამართლო მედიაციის სამართლებრივი დეფინიციის გაწერა „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონში გადაწყვიტა.

[42] იხ.დავის ალტერნატიული გადაწყვეტა სპეციალური გამოშვება(თბილისი-დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი,2017წ), გვ.3

სასამართლო მედიაცია წარმოადგენს სამართლებრივ პროცესს, რომელიც იწყება სასამართლოში შესაბამისი სარჩელის წარდგენის შემდგომ და რომლის ფარგლებშიც ხდება სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისთვის გადაცემა. აქვე აღსანიშნავია, რომ სასამართლო მედიაციის პროცესი მიმდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესის მიხედვით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლო მედიაციის დროს მედიატორის ჩართვა პროცესში ხდება უშუალოდ სასამართლოს მიერ, რაც ამ უკანასკნელს განასხვავებს კერძო მედიაციის პროცესისგან, სადაც მედიატორის ჩართვა ხორციელდება მხარეთა ინიციატივითა და მედიაციის თაობაზე შესაბამისი შეთანხმებით.

სასამართლო მედიაციის პროცესის მთავარ წყაროდ საპროცესო კანონმდებლობა გვევლინება. სხვა მედიაციის სახეებისაგან განსხვავებით სასამართლო მედიაცია ყველაზე მეტადაა მოქცეული საკანონმდებლო რეგულირების ქვეშ. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობითაა განსაზღვრული, რომ სასამართლო მედიაცია შესაძლოა გავრცელდეს საოჯახო სამართლებრივ დავებზე (გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა), ასევე სხვა ნებისმიერ დავაზე თუ ამის თაობაზე არსებობს მხარეთა შეთანხმება[43].

საპროცესო კანონმდებლობის თანახმად თუ სასამართლო მედიაციის პროცესი მორიგებით იქნა დასრულებული, მხარეები სასამართლოს მიმართავენ შესაბამისი შუამდგომლობით რის შემდეგაც სასამართლოს გამოაქვს განჩინება მხარეთა მორიგების დამტკიცების თაობაზე[44]. სასამართლო მედიაციის პირობებში სასამრთლოს განჩინება შეიძლება ჩაითვალოს მორიგების აღსრულების უპირობო სამართლებრივ გარანტად, ვინაიდან ასეთი ტიპის შეთანხმება მხარეთათვის

[43] იხ.საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (786, 26.06.1997) მუხ.187[3],1,2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა; https://matsne.gov.ge/

[44] იქვე. მუხ. 187[7], 1

შესასრულებლად სავალდებულო ხასიათს ატარებს. ბუნებრივია სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებაში აუცილებლად უნდა იყოს განმარტებული მორიგების პირობები და მხარეთა ურთიერთვალდებულებები, რათა ასეთი ტიპის მორიგების დროს აღსრულების ნაწილში საკითხის ბუნდოვანება თავიდან იქნეს აცილებული[45].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასამართლოს განჩინება მორიგების დამტკიცების თაობაზე სასამართლო მედიაციის საკვანძო ნაწილს წარმოადგენს. მოცემული თემის კვლევის პროცესში აღნიშნა, რომ მხარეებს ნებისმიერ შემთხვევაში ჰქონდათ შესაძლებლობა საკუთარი სამედიაციო მორიგების დასამტკიცებლად მიემართათ სასამართლო ხელისუფლებისათვის, ვინაიდან ეს უკანასკნელი მათი შეთანხმებას აღსრულების მეტ სამართლებრივ პრესპექტივებს სძენდა. სასამართლო მედიაციის პირობებში სამედიაციო მორიგების აღსასრულებლად აუციელებლია, რომ მხარეთა შუამდგომლობით მიემართოს სასამართლოს რათა მოხდეს ასეთი ტიპის მორიგების დამტკიცება, სხვა შემთხვევაში მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმება მხოლოდ სამართლებრივი გარიგების ტოლფასი იქნება, რომლის დარღვევის შემთხვევაში მხარეებს საკუთარი უფლებების დაცვისათვის კვლავ სასამართლო ხელისუფლებისთვის მიმართვა მოუწევთ.

1.1 სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის განხილვა სასამართლოს მიერ

როგორც აღინიშნა, სასამართლო მედიაციის ფარგლებში სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი უფრო კონკრეტიზირებულ პროცესს წარმოადგენს. ნებისმიერი სამედიაციო პროცესის მთავარი მიზანი მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევაა, ზემოთ განვიხილეთ თუ როგორ ხდება სასამართლო მედიაციის პირობებში მხარეთა შორის მორიგების აქტის შედგენა, თუმცა აქვე

[45] იხ. ლილუაშვილი თენგიზ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა,(სამართალი-თბილისი 2007), გვ. 374

აღსანიშნავია, რომ მორიგებისდა მიუხედავად შესაძლოა მხარეებს მიერ ნაკისრი ვალდებულება არ შესრულდეს, ამიტომ საინტერესო ხდება იმის გასაზღვრა თუ როგორ უნდა იქნეს სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის განხილვა უზრუნველყოფილი. სასამართლო მედიაციის ზოგადი ნორმების მსგავსად სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის განხილვაც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობითაა რეგულირებული.

მედიაციის შედეგად შედგენილი მორიგების აღსრულების საკითხის განსახილველად აუცილებელია მხარის/მხარეთა მიერ სასამართლოში დაყენებულ იქნეს შესაბამისი შუამდგომლობა[46]. მაშასადამე, ქართველმა კანონმდებელმა საპროცესო ნორმის დონეზე განსაზღვრა სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის განხივლის სპეციფიკა სასამართლოს მიერ.

სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეულ სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის განხილვა ექვემდებარება იმ სასამართლოს, რომელმაც მედიაციის პროცესში საქმე მედიატორს გადასცა, ამასთან ერთად საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრულია ის შემთხვევა როდესაც საქმე მორიგებით კერძო მედიაციის შედეგად იქნა დასრულებული, ამ შემთხვევაში საქმეს განიხილავს ის რაიონული (საქალაქო) სასამართლო, რომელიც განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართის) ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულშია მოქცეული[47].

---

[46] იხ. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (1106, 14.11.1997), მუხ.363[31,] 1 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=141

[47] იხ. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (1106, 14.11.1997), მუხ.363[31,] 2 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=141

ზემოაღნიშნულზე საუბრისას აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი სასამართლოში ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილება, სასამართლოს აღნიშნული განცხადების განხილვისათვის 10 დღიანი ვადა აქვს, თუმცა სასამართლოს ასევე გააჩნია უფლებამოსილება საქმეზე განსაზღვროს ზეპირი მოსმენა, თუ ეს საქმის დეტალებისა და გარემოებების გამორკვევას ხელს შეუწყობს. ამ უკანაკნელ შემთხვევაში ქართველი კანონმდებელი სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხისათვის 30 დღიან ვადას განსაზღვრავს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია ჩნდება კითხვა თუ როგორ წარიმართება კონკრეტული საქმის ზეპირი მოსმენა იმ შემთხვევაში როცა სასამართლო პროცესზე ერთ-ერთი ან ორივე მხარე არ ცხადდება . მოცემულ შემთხვევაში „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“ უფლებას აძლევს სასამართლოს რომ მხარეების გამოუცხადებლობის შემთხვევაში არ იქნეს დაბრკოლებული კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღება, შესაბამისად მხარეების გამოუცხადებლობა ვერ იქნება განხილივსა და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების ხელისშემშლელი გარემოება[48].

ნაშრომის კვლევის ფარგლებში უკვე აღინიშნა, რომ ნებისმიერი სამედიაციო პროცესის შედეგად მიღწეული მორიგების აღსრულება პრობლემურ საკითხს წარმოადგენს იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ტიპის შეთანხმება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან თუ მსგავსი ტიპის მორიგების აღსრულება შეუძლებელია. ბუნებრივი ეს საკითხი სასამართლო მედიაციის პირობებშიც იგივენაირად რეგულირდება, კერძოდ სასამართლოს უარს იტყვის მხარეთა შუამდგომლობაზე, იმ სამედიაციო მორიგების აღსრულების თაობაზე, რომლის შინაარსი ეწინააღმდეგენა საქართველოს კანონმდებლობას ან თუ მისი

[48] იხ. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (1106, 14.11.1997), მუხ.363[31], 4 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა: https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=141

აღსრულება სასამართლოს შეუძლებლად მიაჩნია[49]. მოცემულ შემთხვევაში მორიგების აღსრულების შეუძლებლობის ზუსტი დეფინიცია საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრული არაა, ასევე არაა კონკრეტიზირებული თუ რა შემთხვევაში გვაქვს საქმე მორიგების აღსრულების შეუძლებლობასთან, ამიტომ ეს უკანასკნელი საკითხი ყოველთვის სასამართლოს შეფასებით განისაზღვრება. საგულისხმოა რომ სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში საპროცესო კანონმდებლობა მხარეებს აძლევს საშუალებას სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება გაასაჩივრონ კერძო საჩივრის ფორმით[50].

1.2 სასამართლო განჩინება სამედიაციო მორიგების აღსრულების თაობაზე

როგორც უკვე აღინიშნა სასამართლოს სამედიაციო მორიგების აღსრულების თაობაზე გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება, რომელიც განჩინების სახითაა ფორმულირებული. სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებას თან ახლავს სააღსრულებო ფურცელი, რომელიც მხარე განჩინებასთან ერთად გადაეცემა. სააღსრულებო ფურცლის გაცემა სამართლებრივი გარანტიაა იმისა რომ კონკრეტულ საქმეზე მოვალის მიმართ განხორციელდებს იძულებითი აღსრულების პროცედურა.[51]

მოცემულ საკითხზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ საპროცესო კანონმდებობა მხარეებს არ აძლევს უფლებას სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხზე სასამართლოს განჩინების გასაჩივრების[52]. სამოქალაქო საპროცესო

---

[49] იხ. იქვე. მუხ.363[32], 1

[50] იხ. იქვე. მუხ, 363[33], 2

[51]იხ. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (1106, 14.11.1997), მუხ.363[33,] 1 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=141

[52] იხ. იქვე. მუხ.363[33] , 3

კანონის მიხედვით სამედიაციო მორიგების აღსრულების თაობაზე სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია განიმარტოს თუ რატომ არ საჩივრდება სამედიაციო მორიგების აღსრულების თაობაზე სასამართლოს გამოტანილი განჩინება. უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხზე სამართლის მკვლევართა ცალსახა პოზიცია არ არსებობს, მეტიც ქართულ სამოქალაქო საპროცესო კანონში სამედიაციო მორიგების აღსრულებასთან დაკავშირებული პროცედურები 2019 წლის 18 სექტემბრიდან იქნა დამატებული[53]. ეს უკანასკნელი კი იმაზე მიუთითებს, რომ სასამართლო მედიაციასთან დაკავშირებული მთელი რიგი წესები ქართველმა კანონმდებელმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რეგულირების ქვეშ მოაქცია ამიტომ დღევანდელობაში სამედიაციო მორიგების აღსრულების სამართლებრივი რეგულირება გარკვეულ ნოვაციას წარმოადგენს. ბუნებრივია ამ ყველაფრიდან გამომდინარე ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში ჯერ არ დაწერილა ისეთი ტიპის ნაშრომის, რომლის ფარგლებშიც განიმარტება თუ რატომ არ ეძლევათ მხარეებს უფლება სამედიაციო მორიგების აღსრულების თაობაზე უარის თქმის შესახებ გამოტანილი განჩინება გაასაჩივრონ სააპელაციო წესით.

მიუხედავად ზემოთთქმულისა შეიძლევა ვივარაუდოთ, რომ ვინაიდან სამედიაციო მორიგების აღსრულების შესახებ გამოტანილი განჩინება წარმოადგენს მედიაციის ინსტიტუტის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, ქართველმა კანონმდებელმა აღარ მიიჩნია საჭიროდ ასეთი ტიპის მორიგების აღსრულების საკითხი პირველი ინსტანციის სასამართლოს გარდა აპელაციისა და კასაციის განსახილველ თემად განესაზღვრა. ამის მიზეზი კი შეიძლება მედიაციის პროცესში სასამართლოს როლის ისეთი ზრდის პრევენცია ყოფილიყო, რომელიც

[53] იხ. საქართველო,საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, „სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“,(4955-Iს, 18.09.2019), https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646807?publication=0#DOCUMENT:1;

სამედიაციო პროცესის მოქნილობასა და დამოუკიდებლობას მნიშვნელოვნად შეზღუდავდა.

2. სააღსრულებო ფურცლის გაცემა სასამართლოს მიერ

სამედიაციო მორიგების აღსრულების კვლევის ფარგლებში უკვე შევეხეთ „სააღსულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონს, რომლის რეგულირების ფარგლებში განისაზღვრება სააღსრულებო ფურცლის გაცემის წესები.

აღსანიშნავია სააღსრულებო კანონმდებლობის ის ჩანაწერი, რომლის ფარგლებშიც სამედიაციო მორიგება განიხილება როგორც აღსრულების ქვემდებარე აქტი. კანონმდებელი აკეთებს დათქმას, რომ აუცილებელია სამედიაციო მორიგების აღსასრულებლად გამოტანილი იყოს სასამართლოს შესაბამისი განჩინება[54]. კანონმდებლობის ასეთი ჩანაწერი პირდაპირ საზღვრავს სასამართლოს როლსა და უფლებამოსილებას სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესში.

სააღსრულებო წარმოების დაწყებისათვის აუცილებელია სააღსრულებო ფურცლის არსებობა[55], გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა. გამომდინარე აქედან შეგვიძლია ვთქვათ, რომ სააღსრულებო ფურცლის მეშვეობით განისაზღვრება გადაწყვეტილების აღსულების საკითხი რაც სამედიაციო მორიგების აღსულების უმნიშვნელოვანეში კომპონენტია[56]. სასამართლო მართლმსაჯულების ორგანოა, რომელიც მხარის (კრედიტორის)

---

[54] იხ.საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ (1908, 16.04.1999), მუხ2, (ყ), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442?publication=97

[55] იხ.საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ (1908, 16.04.1999), მუხ. 20 (1) , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442?publication=97

[56] იხ. მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, (თბილისი-დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, 2018) გვ 75

სამართლებრივად დასაბუთებული მომართვიანობის შემთხვევაში უფლებამოსილია გასცეს ხსენებული სააღსრულებო ფურცელი, რომლის საშუალებითაც განხორციელდება კონკრეტული გადაწყვეტილების აღსრულება.

სასამართლო მედიაციის პირობებში მედიატორის შუამავლობით მიღწეული სამედიაციო შეთანხმება მხარეთა უალტერნატივო მონაპოვარს წარმოადგენს. ასეთ დროს, ძირითად შემთხვევაში მხარეების მიერ მორიგების ფარგლებში მიღწეულია ისეთი შეთანხმება, რომელიც აღარ საჭიროებს იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გატარებას. მიუხედავად თქმულისა შესაძლებელია სამართლებრივად საჭირო გახდეს კონკრეტულ საქმეში კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება, რის შედეგადაც სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე.

სააღსრულებო ფურცლის საკითხის განხილვისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ დოკუმენტის გაცემაზე მხოლოდ სასამართლო არ არის უფლებამოსილი. ამხრივ საინტერესოა სააღსულებო ფურცელი (დოკუმენტის) განსაზღვრება[57], რომლის მიხედვითაც სააღსრულებო ფურცელი არის იმდაგვარი ტიპის სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც გაცემულია სასამართლოს, შესაბამისი უფლებამოსილი პირის ან ორგანოს მიერ. სწორედ შესაბამისი უფლებამოსილ პირში შეგვიძლია მოვიაზროთ ნოტარიუსი, რომელიც საქმეში სანოტარო მედიაციის ფორმატში ერთვება. სანოტარო მედიაციის ერთ-ერთ მთავარ ხიბლს სწორედ სააღსრულებო ფურცლის გაცემის სიმარტივე წარმოადგენს. სანოტარო მედიაციის შეთანხმებაში შესაძლებელია განსაზღვრულ იქნეს რომ იძულებითი აღსრულების საჭიროების შემთხვევაში სააღსრულებო ფურცელი სასამართლოს გვერდის ავლით პირდაპირ ნოტარიუსმა გასცეს[58]. სწორედ აღნიშნულმა

[57] იხ. სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ ოფიციალური ვებგვერდი, ტერმინთა განმარტებითი ველი http://nbe.gov.ge/index.php?sec_id=465&lang_id=GEO

[58] იხ. მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, (თბილისი-დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, 2018) გვ 75

შესაძლებლობამ განაპირობა სააღსრულებო ფურცლის გაცემის არეალის გაფართოვება[59]. სხვაგავრად რომ ვთქვათ, ნოტარიუსის საშუალებით სააღსრულებო ფურცლი გაცემა შეიძლება განვმარტოთ კრედიტორის შესაძლებლობად რომ მედიაციის მორიგებით ფაზაში განსაზღვროს სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოქნილი პროცესი[60].

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სააღსრულებო ფურცლის გაცემა ყველაზე ხშირად სწორედ სასამართლო ხელისუფლების მიერ ხორციელდება. აქვე აღსანიშნავია რომ ვინაიდან სანოტარო მედიაციის პირობებში სამედიაცო მორიგების აღსრულების თემა სამართლებრივი ინტერპერატაციის დიდ სივრცეს ტოვებს ეს საკითხი სასამართლო მედიაციის პირობებში უფრო მეტად კონკრეტიზირებულ პროცესს წარმოადგენს. გამომდინარე თქმულიდან სააღსრულებო ფურცლის გაცემის პროცედურები ძირითადად მაინც სასამართლო ინსტანციას უკავშირდება.

თავი IV. სამედიაციო მორიგების აღსრულების ინსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები

1. ქართული კანონმდებლობის როლი სამედიაციო მორიგების აღსრულებაში.

საქართველოში, ისევე როგორც კონტინენტური სამართლის ძირითად ქვეყნებში, სამედიაციო მორიგების აღსრულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოქმედ კანონმდებლობაზე. კვლევის ფარგლებში უკვე აღინიშნა, რომ სამედიაციო კანონი ქართულ იურისპრუდენციაში ნოვაციას წარმოადგენს

[59] იხ. სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატის“ ვებრგვერდის განმარტებითი ველი https://www.notary.ge/geo-263-notariusis-mier-saagsrulebo-furclis-gacemis-areali-gafartovda

[60] იხ. როსტიაშვილი მერაბი ,2019,ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების სპეციფიკა, სამაგისტრო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ 11

ამიტომ მნიშვნელოვანია განისაზღვროს თუ რა როლს შეიძლება ასრულებდეს საკანონმდებლო ნორმა სამედიაციო მორიგების ეფექტურად აღსრულებაში.

2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ქართული სამედიაციო კანონმდებლობა სამედიაციო მორიგებისა და მისი აღსრულების წესების განსაზღვრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტია. აღნიშნულის ფარგლებში განისაზღვრა როგორც კერძო ისე სასამართლო მედიაციის პროცესში სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილება და როლი[61]. ბუნებრივია ეს გარემოება უფრო კონკრეტიზირებულს ხდის სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესში ჩართული როგორც სახელმწიფო ასევე კერძო ორგანოების როლს. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლში განსაზღვრულია მედიაციის წარმართვის წესები, მათ შორისაა მედიატორის ვალდებულების განსაზღვრა სამედიაციო პროცესის შედეგად მიღწეულ მორიგების აღსრულების წესის განმარტებაზე[62]. კანონის ეს ნორმა მხარეებს აძლევს სამართლებრივ გარანტიას რომ სამედიაციო პროცესში ჩართული მედიატორი მათ განუმარტავს სამედიაციო მორიგების აღსრულების წესებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით განისაზღვრება სამედიაციო მორიგების აღსრულების გარკვეული წესები[63], მათ შორისაა მხარეთა სამართლებრივი უფლება რომლის მიხედვითაც მათი შეთანხმებით სამედიაციო მორიგება შეიძლება აღსრულებული იქნეს სასამართლოს მიერ. სამედიაციო კანონის ეს ნორმა იმაზე მიუთითებს, რომ კანონმდებელი მხარეებს აძლევს სამართლებრივ დისკრეციას რათა საკუთარი

[61] იხ. საქართველოს პარლამენტის განმარტებითი ბარათი, საქართველოს კანონის პროექტზე „მედიაციის შესახებ“ 2019, გვ 8 https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/216089

[62] საქართველო, საქართველოს პარლამენტი,საქართველოს კანონი, „მედიაციის შესახებ“ (4954-Iს, 18.09.2019), მუხ.8 (1) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1

[63] იხ. იქვე. მუხ. 13

სურვილისამებრ შეაჯამონ პოზიციები და თავადვე შეთანხმდნენ თუ როგორ შეიძლება აღსრულებულდეს მათ მიერ მიღწეული სამედიაციო მორიგება.

გარდა სამედიაციო კანონმდებლობისა, ბუნებრივია სამედიაციო მორიგების აღსრულების სამართლებრივ გარანტიას მხარეებს „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონიც აძლევს. აღნიშნული კანონის 81[1]-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით სანოტარო მედიაციის ფარგლებში მხარეთა სამედიაციო მორიგების აქტი ნოტარიუსის მიერ სანოტარო წესით მოწმდება. ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ მხარეები სანოტარო მედიაციას მიმართავენ და ამ პროცესს მორიგებით დაასრულებენ, მაშინ საკანონმდებლო წესი ნოტარიუსს დაავალდებულებს აღნიშნული მორიგების დამოწმებას, რაც თავისმხრივ მხარებისათვი მათი სამედიაციო მორიგების აღსრულების სამართლებრივი გარანტიაა. გარდა თქმულისა, ასევე საინტერესოა „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 81[1]-ე მუხლის მე-5 ნაწილიც, რომლის მიხედვითაც სანოტარო მედიაციის ფარგლებში მიღწეული მორიგების შეუსრულებლობის შემთხვევაში ნოტარიუსი გასცემს სააღსრულებო ფურცელს და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის წესის მიხედვით და დაიწყება იძულებითი აღსრულების შესაბამისი ღონისძიებები. კანონის ეს წესი მეტად მყარ ბერკეტს წარმოადგენს მხარის (კრედიტორის) ხელში, ვინაიდან ქართული სანოტარო კანონმდებლობა მას აძლევს გარანტიას, რომ მორიგების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ყოველგვარი დამატებითი ბიუროკრატიული პროცესებისა და სასამარლო ინსტანციის გვერდის ავლით მოხდება სააღსრულებო ფურცლის გაცემა, რაც თავისმხრივ კრედიტორის კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილების გარანტიაა.

სამედიაციო მორიგების აღსრულების სამართლებრივ გარანტიებზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“-ს ნორმათა როლი. ნაშრომის ფარგლებში უკვე ვისაუბრეთ საპროცესო

კანონის იმ წესებზე, რომელიც სასამართლო მედიაციის პირობებში სამედიაციო მორიგების აღსრულების წესს განსაზღვრავს. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა უნდა მივიჩნიოთ სამედიაციო მორიგების აღსრულების ყველაზე მნიშვნელოვან სამართლებრივ გარანტიათ, ვინაიდან როგორც უკვე აღინიშნა, ეს კანონი სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესთან დაკავშირებით ყველაზე კონკრეტიზირებულ ნორმათა სისტემას წარმოადგენს.

2. სსიპ - „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ როგორც სამედიაციო მორიგების აღსრულების გარანტი.

ქართულ სამედიაციო კანონმდებლობაში განსაზღვრულია იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფუნქციები, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს მედიატორთა თვითრეგულირებას[64]. აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირი სამართლებრივად იწოდება- „საქართველოს მედიატორთა ასოციაციად“. ნაშრომის თემის კვლევის ფარგლებში საინტერესო ხდება თუ რა სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენს მედიატორთა თვითრეგულირების ინსტიტუტი და რამდენად შეიძლება მედიატორთა ასოციაცია მიჩენულ იქნეს მხარეთა გარანტიად სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესში.

სამედიაციო კანონმდებლობის მიხედვით მედიატორთა ასოციაციაში გაერთიანებულნი არიან მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებული მედიატორები[65]. ბუნებრივია მედიატორის მედიატორთა რეესტრში

[64]იხ.საქართველო, საქართველოს პარლამენტი,საქართველოს კანონი, „მედიაციის შესახებ“ (4954-Iს, 18.09.2019), მუხ 14, 1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1

[65] იხ. საქართველო, საქართველოს პარლამენტი,საქართველოს კანონი, მედიაციის შესახებ (4954-Iს, 18.09.2019), მუხ 14, 3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ„ საკანონმდებლო მაცნეს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1

რეგისტრაციისათვის არსებობს გარკვეული წინაპირობები, მაგალითად აუცილებლია რომ მედიატორი იყოს ფიზიკური ქმედუნარიანი პირი, რომელიც არ არის ნასამართლევი. კანონის მიხედვით ასევე განისაზღვრება მედიატორის შესაბამისი კვალიფიკაცია, რომლის უზრუნველყოფასა და სერთიფიცირებას მედიატორთა ასოციაცია უზრუნველყოფს[66].

ქართული სამედიაციო კანონმდებლობა მედიატორთა ასოციაციის ფუნქციაში განსაზღვრავს მედიატორის ასოციაციაში გაწევრიანების (რეგისტრაციის) წესს, ასევე იმ წინაპირობებს რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია მედიატორს შეუწყდეს უფლებამოსილება. საინტერესოა განსაზღვრულ იქნეს რამდენად შეიძლება მედიატორთა ასოციაციის ფუნქციები მივიჩნიოთ სამედიაციო მორიგების აღსრულების ინსტიტუციონალურ გარანტიად. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ვისაუბროთ მედიატორთა ასოციაციის იმ უფლებამოსილებაზე რომლის ფარგლებშიც ამ ორგანოს შესაძლებლობა ექნება მედიატორის მხირან სამედიაციო მორიგების აღსრულების ფარგლებში ჩადენილ სამართლებრივ გადაცდომაზე მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, რაც მხარეთა ინტერესების დაცვას მოემსახურება. სამედიაციო კანონში გაწერილია რომ მედიატორთა ასოციაციის ძირითადი პრინციპები და წესები უნდა განისაზღვროს ამ ორგანოს შესაბამისი წესდების მიხედვით, აქვე ყურადსაღებია, რომ სსიპ - „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“-ს დღეის მდგომარეობით არ აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი და საჯაროდ ხელმიუწვდომელია მისი წესდება, რომელითაც, ზემოაღნიშნულ წესები განისაზღვრებოდა. გამომდინარე აქედან, თემის კვლევის ფარგლებში, ამ საკითხების სახელმძღვანელო წყაროდ შეგვიძლია გამოვიყენოთ ა(ა)იპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ შესაბამისი

[66] იხ. საქართველო, საქართველოს პარლამენტი,საქართველოს კანონი, მედიაციის შესახებ (4954-Iს, 18.09.2019), მუხ 14, 4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1

წესდება[67], რომლითაც ზემოაღნიშნული საკითხები რეგულირდება. მანამ სანამ უშუალოდ წესდებაზე ვისაუბრებდეთ უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი ორგანო სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ შექმნამდე წარმოადგენდა საქართველოს მედიატორთა გაერთიანების ერთადერთ საშუალებას, რომლის ფარგლებშიც მედიატორისა და ასოციაციის ურთიერთობები რეგულირდებოდა. ა(ა)იპ - „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ წესდების მიხედვით მედიატორის უფლებამოსილების შეწყვეტის ერთ-ერთი წინაპირობა არბიტრის მხრიდან სამედიაციო პროცესში განხორციელებული ისეთი ქმედებაა, რომელიც არსებითად ლახავს მედიატორთა ასოციაციის რეპუტაციას[68], ასევე მედიატორის მიერ წესდებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობა. აღნიშნული წესდების დათქმაში შეგვიძლია ვიგულისხმოთ მედიატორის მიერ მხარეთათის სამედიაციო მორიგების აღსრულების წესის უთქმელობა, რაც თავისმხრივ იმაზე მიუთითებს, რომ მხარეებს მედიატორთა ასოციაციისგან აქვს გარანტია რომ თუ მედიატორი მათ სამედიაციო მორიგების აღსრულების წესებს სამართლებრივად არ განუმარტავს, ეს შეიძლება გახდეს ამავე მედიატორის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი.

აღსანიშნავია რომ გარდა ქართული კანონმდებლობისა, აშშ-ს სამართლის მოდელშიც მედიატორის მხრიდან სამედიაციო პროცესის რიგი წესების დაცვა, რაც მათ შორის მხარეთათვის მათი უფლებების განმარტებას გულისხმობს, არის მედიატორის ეთიკური ნორმათა სტანდარტის ნაწილი. გამომდინარე აქედან თუ მედიატორის მხრიდან არ მოხდა მხარეების უფლებების შესაბამისი განმარტება, ასევე სამედიაციო პროცესში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვა, აღნიშნული გადაცდომა მედიატორის მხრიდან სავარაუდოდ ჩაითვლება

[67] იხ. ა(ა)იპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ოფიციალურ ვერგვერდზე განთავსებული წესდება, http://mediation.ge/ka/association-statute.

[68] იხ. საქართველო, საქართველოს პარლამენტი,საქართველოს კანონი, „მედიაციის შესახებ“ (4954-Iს, 18.09.2019), მუხ.6, ი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1

არაეთიკურ ქმედებად, რაც შემდგომში შესაძლოა მედიატორის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი გახდეს[69].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია რომ სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ წესდებაში იმპლემენტირებული იქნას მედიატორის უფლებამოსილების შეწყვეტის შესაბამისი საფუძვლები, რათა ახლად შექმნილი მედიატორთა ასოციაცია მივიჩნიოთ სამედიაციო პროცესში ჩართული მხარეებისათვის სამედიაციო მორიგების აღსრულების ინსტიტუციონალურ გარანტორად.

თავი V. სამედიაციო მორიგების აღსრულების პრაქტიკა საქართველოში.

ნაშრომის თემის კვლევის ფარგლებში განხილულ იქნა სამედიაციო მორიგების აღსრულების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები, ასევე კონკრეტული მედიაციის პირობებში მორიგების აღსრულების ცალკეული იურიდიული ასპექტები, თუმცა მიუხედავად ამისა, ნაშრომის სრულყოფის მიზნით საჭიროა შევეხოთ მედიაციის პროცესის პრაქტიკას საქართველოში. აღნიშნულის პრაქტიკის კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ სამედიაციო მორიგების აღსრულების პრაქტიკაში შეიძლება შეგვხვდეს პრობლემა რომლის დროსაც სამედიაციო მორიგების პირობა შეიძლება არ აკმაყოფილებდეს მორიგების აღსრულებადობის წინაპირობებს, ამიტომ ასეთ შემთხვევაში

[69] იხ. Resolve Meditaion Servise of New York - Website, Lawline ADR Day – Bridge The Gap: Mediation ethics, June 26, 2016, გვ. 1 https://mediators.com/ethics/

სასამართლოს მიერ რთულდება მსგავსი ტიპის მორიგების დამტკიცება. აქვე აღსანიშნავია რომ მორიგების აღსრულების შედეგიდან გამომდინარე აუცილებელი არ არის სამედიაციო მორიგება სასამართლოს მიერ სრულად იქნეს დამტკიცებული, ვინაიდან მხარეებს აქვთ შესაძლებლობა არიჩიონ მათი მორიგების აქტის როგორ სრული ასევე ნაწილობრივი დამტკიცების გზა.

გარდა ზემოაღნიშნულისა ქართული სამართლებრივი პრაქტიკის მიხედვით შესაძლებელია შევხვდეთ ისეთ გარემოებას როდესაც მოლაპარაკებების პროცესში საჭირო ხდება მესამე პირის ჩართვა. ასეთ სამართლებრივ ვითარებაში შესაძლებელია ხსენებულმა მესამე პირმა მორიგების პროცესსა და მის აღსრულების ნაწილზე იქონიოს გადამწყვეტი გავლენა, გამომდინარე აქედან სავარაუდოა რომ წარმოიშვება სასამართლოს მიერ მორიგების დამტკიცების პრობლემა, ვინაიდან თუკი პირი საქმეში როგორც მხარე არ ფიგურირებს, ასეთი პირის მონაწილეობით დადებული შეთანხმება სასამართლოს მიერ ვერ დამტკიცდება, პრაქტიკის მიხედვით მოცემულ შემთხვევაში ერთ-ერთ საუკეთესო გამოსავლად ითვლება მხარის მიერ სარჩელის გამოხმობა და მხარეთა ნებაყოფლობის საფუძველზე სასამართლო წარმოების შეწყვეტა[70].

ზემოაღნიშნული საკითხის კვლევის ფარგლებში ასევე საინტერესოა გავეცნოთ ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის ცენტრის ოფიციალურ სტატისტიკას, რომელიც განსაზღვრავს მედიაციის ცენტრის დაფუძნებიდან დღემდე თუ რამდენი და რა კატეგორიის საქმეები მოექცა სასამართლო მედიაციის პროცესის ქვეშ და პროცენტულად რამდენი საქმის დასრულება მოხერხდა მორიგებით[71]. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტიც რომ სტატისტიკურ ცხრილში დავების დაახლოებით 60-70% სამედიაციო მორიგებით

[70] იხ. დანართი #1 - ოფიციალური ინტერვიუ თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის ცენტრის ხელმძღვანელთან - ელენე ორჯონიკიძესთან, 2020

[71] იხ. დანართი #2 - თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის ცენტრის მიერ მოწოდებული 2013-2020 წლების ოფიციალური სტატისტიკა. 2020

იქნა დასრულებული რაც იმას ნიშნავს რომ თბლისის საქალაქო სასამართლოში მედიაციის ცენტრის შექმნიდან დღემდე (2013-2020წწ.) სამედიაციო პროცესი მიმდინარეობდა 208 სამოქალაქო საქმეზე, ხოლო აქედან 147 საქმეზე მხარეებს შორის მოხერხდა შეთანხმების მიღწევა. გამომდინარე ქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულ სამართლებრივ პრაქტიკაში სამედიაციო მორიგების პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, რაც მედიაციის ინსტიტუტის მიმართ საზოგადოების დაინტერესების ტენდენციას მუდმივად ზრდის.

დასკვნა

ნაშრომის კვლევის დასკვნით ნაწილში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ იურისპრუდენციაში სამედიაციო მორიგების აღსრულების თემატიკა სულ უფრო აქტუალურ და სამართლებრივად საინტერესო პროცესს წარმოადგენს. თემის კვლევის შედეგად ცხადი გახდა რომ ქართველმა კანონმდებელმა ახალი სამედიაციო კანონმდებლობის მიღებით მოახერხა სამედიაციო ინსტიტუტის სამართლებრივი უზრუნველყოფა, რაც პირველ რიგში ქართულ კანომდებლობაში საერთაშორისო მედაციის ნორმების იპლმენეტაციაში გამოიხატა. მიუხედავად აღნიშნულისა თემის კვლევის პროცესში გამოიკვეთა მედიაციის პროცესისა და მასთან დაკავშირებული მორიგების აღსრულების გარკვეული პრობლემები, რომელიც საკანონმდებლო დონეზე არ არის იმდენად მკაფიოთ განსაზღვრული რომ შესაძლებელი გახდეს მისი ერთგვაროვანი გაგება. ამ უკანასკნელის მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ ნაშრომში განხილული კერძო სამედიაციო

პროცესის მორიგების აღსრულების თემატიკა, როგორც აღინიშნა კერძო მედიაციის ფორმატში მორიგების აღსრულების მარეგულირებელი ნორმები თითქმის არ არსებოს, რის გამოც საკითხის ეფექტური პრაქტიკული განხორციელება საჭიროებს მაღალკვალიფიციურ იურიდიულ ინტერპრეტაციას. ნაშრომის ფორმირების პროცესში ასევე ცხადად გამოჩნდა სანოტარო მედიაციის, როგორც მედიაციის ერთ-ერთი ყველაზე მოქნილი სახის, მნიშვნელობა. სანოტარო მედიაციის მორიგების აღსრულების, განსაკუთრებით კი იძულებით სააღსრულებო ღონისძიებებთა დაკავშრებული პროცესი ქართული საკანონმდებლო ბაზის მიხედვით მეტად მარტივ და მოდავე მხარეთათვის კომფორტულ პროცესს წარმოადგენს. ამ ყველაფრის მიზეზად კი სანოტარო კანონმდებლობის ნორმათა კონკრეტიზაცია უნდა მივიჩნიოთ.

თემის კვლევის შეჯამებისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს სასამართლო მედიაციის წარმოების პროცესი და ამ პროცესში სამედიაციო მორიგების აღსრულების სამართლებრივი ასპექტები. ნაშრომში სასამართლო მედიაციასთან დაკავშირბული სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხები ცალკე თავადაა გამოყოფილი, ვინაიდან ავტორის აზრით მედიაციის სახეთა შორის სასამართლო მედიაცია ყველაზე ფართო და სამართლებრივად მკაფიოდ რეგულირებულ სახეს წარმოადგენს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს რომ ქართულ სამედიაციო ინსტიტუტის განვითარებაში სასამართლო მედიაციის როლი საკმაოდ დიდია, თუმცა დროთა განმავლობაში ჩნდება მისი ალტერნატივები, რაც ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე პოზიტიურ მოვლენად უნდა შეფასდეს.

სამედიაციო მორიგების აღსრულების კვლევისას, უშუალოდ სამართლებრივი პროცესის განხილვის გარდა, აუცილებელია შეფასდეს ინსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები. ზემოთმოცემული თემის შინაარსიდან გამომდინარე ასეთ ინსტიტუციურ გარანტიად მიჩენულ იქნა მედიატორთა გამაერთიანებელი სახელმწიფო ორგანო, რომელიც უშუალოდაა

პასუხისმგებელი როგორც მედიატორის კვალიფიკაციაზე, ასევე მისი სამართლებრივი გადაცდომისას შესაბამის რეაგირებაზე.

აზრთა საბოლოო თავმოყრისას აუცილებელია აღინიშნოს სამედიაციო მორიგების აღსრულების პრაქტიკის ანალიზი, რომელიც ნაშრომში თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის ცენტრის ხელმძღვანელთან ინტერვიუს სახითაა გადმოცემული. პრაქტიკის კვლევისას ასევე აუცილებელად იქნა მიჩნეული მედიაციასთან დაკავშირებული გარკვეული სამართლებრივი სტატისტიკის განსაზღვრა, რომლის ანალიზის შედეგადაც შეიძლება ვივარაუდოთ რომ საქართველოში სამედიაციო პროცესისათვის მიმართვიანობა მუდმივად მზარდია, რაც ერთის მხრივ ქვეყნის დემოკრატიის ზრდა-განვითარებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ხოლო მეორეს მხრივ ქართველი კანონმდებლისთვის კიდევ ერთი ახალი გამოწვევაა, რომელზეც პასუხის გაცემა მხოლოდ ქართული სამედიაციო ნორმათა დახვეწის ფორმითაა შესაძლებელი.

ბიბლიოგრაფია

კანონები

- საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ (1908, 16.04.1999), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442?publication=97
- საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, ნოტარიატის შესახებ (2283, 4.12.2009),), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/90928?publication=18
- საქართველო, საქართველოს პარლამენტი,საქართველოს კანონი, მედიაციის შესახებ (4954-Iს, 18.09.2019), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1
- საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (786, 26.06.1997), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა; https://matsne.gov.ge/

- საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (1106, 14.11.1997), საქართველოს იუსტიციის

სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა:https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=141

- საქართველო,საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ,(4955-Iს, 18.09.2019), https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646807?publication=0#DOCUMENT:1;

კანონქვემდებარე აქტები

- დებულება ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მორიგების პროცედურის წარმართვის შესახებ, სსიპ ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო-28.02.2018, https://gba.ge/files/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf
- საქართველოს პარლამენტის განმარტებითი ბარათი, საქართველოს კანონის პროექტზე „მედიაციის შესახებ“ 2019, https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/216089

წიგნები

- დავის ალტერნატიული გადაწყვეტა სპეციალური გამოშვება(თბილისი-დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი,2017)
- ლილუაშვილი თენგიზ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა,(სამართალი-თბილისი 2007)
- მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში,(თბილისი-დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი 2013)
- ცერცვაძე გ., მედიაცია,დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა,(თბილისი-დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი 2010)
- წულაძე ა., ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი,თბილისი 2017

ნაშრომები

- აბრამიშვილი ა., 2017 მედიაციის სისტემის შედარებითი ანალიზი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის მაგალითზე საქართველოში მედიაციის განვითარების პერსპექტივა,სადისერტაციო ნაშრომი.
- როსტიაშვილი მერაბი , 2019 ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების სპეციფიკა, სამაგისტრო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- ყანდაშვილი ი., 2018, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- წულაძე ა., სასამართლო მედიაციის მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში,თბილისი- 2016

უცხოური წყაროები

- Adjunct Professor, Pepperdine University School of Law;International Counsel; Hughes Hubbard & Reed LLP, Los Angeles, „Mediation under National Law:United States of America

- Bruno Zeller, Leon Trakman Mediation and arbitration: the process of enforcement , 2019.

- DIRECTIVE 2008/52/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL, Official Journal of the European Union, 24.5.2008 https://eur-lex.europa.eu/legal-content/GA/TXT/?uri=CELEX:32008L0052.

- Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and procedurs, Cambridge,

- Gesetz zur Förderung der Mediation und anderer Verfahren der außergerichtlichen Konfliktbeilegung) -federal law Gazette part1,25.07.2012 https://www.bgbl.de/xaver/bgbl/start.xav?start%20bk=Bundesanzeiger_BGBl&start=//*%255B@attr_id=%2527bgbl112s1577.pdf%2527%255D#__bgbl__%2F%2F*%5B%40attr_id%3D%27bgbl112s1577.pdf%27%5D__1591520947446

- Resolve Meditaion Servise of New York - Website, Lawline ADR Day – Bridge The Gap: Mediation ethics, June 26, 2016 https://mediators.com/ethics/

ინტერნეტ საიტები

- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6050 (10.04.2020)

- მსოფლიო ისტორიის საერთაშორისო ვებგვერდი, პირველი მსოფლიო ომის სტატისტიკა , 2020 https://www.history.com/topics/world-war-i/world-war-i-history (10.04.2020)
- მეორე მსოფლიო ომის სტატისტიკა, მეორე მსოფლიო ომის სტატისტიკის ვებგვერდი, 2020 https://www.secondworldwarhistory.com/world-war-2-statistics.php (10.04.2020)
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პუბლიკაცია, რუსეთ-საქართველოს ომის სტატისტიკა, 2015 https://idfi.ge/ge/russia-georgia-war-infographic (15.05.2020)
- აღსრულების ეროვნული ბიურო http://nbe.gov.ge/index.php?sec_id=465&lang_id=GEO (15.05.2020)
- Zivilprozessordnung, https://www.gesetze-im-internet.de/zpo/ (16.05.2020)
- „სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის“ ვებრგვერდის განმარტებითი ველი https://www.notary.ge/geo-263-notariusis-mier-saagsrulebo-furclis-gacemis-areali-gafartovda (18.05.2020)
- ა(ა)იპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ოფიციალურ ვერგვერდი, http://mediation.ge/ka/association-statute. (25.03.2020)

დანართები

- დანართი #1 - ოფიციალური ინტერვიუ თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის ცენტრის ხელმძღვანელთან - ელენე ორჯონიკიძესთან, 2020
- დანართი #2 - თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის ცენტრის მიერ მოწოდებული 2013-2020 წლების ოფიციალური სტატისტიკა. 2020